# 88 წელი თქვენთან ერთად!

**88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.**

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
**ვახუშტი ბაგრატიონი**

# თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №11-12 {7041} 4 ივნისი 2021 წელი • www. Terjola. gov. ge

## საქართველოს ყველა მოქალაქის დღე!

***26 მაისი—ჩვენი სამშობლოს, საქართველოს, მისი ყველა მოქალაქის უპირველესი საერთო-სახალხო დღესასწაულია. დღე, რომელიც გვეკუთვნის ჩვენ, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსისა თუ პარტიულობისა...***

*საქართველოს დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა.* მაშინ, სუვერენულმა ჩვენმა ქვეყანამ, მხოლოდ 3 წელი გაძლო და ორჯერ—1919 და 1920 წლებში საზეიმოდ აღნიშვნა ეს მნიშვნელოვანი დღე. შემდეგ კი, 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან შვიდი ათეული წლის განმავლობაში, კომუნისტურ რეჟიმსა და მის პროპაგანდისტულ მანქანას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების ეს დღე—26 მაისი ამოშლილი ჰქონდათ არამარტო კალენდრებიდან და ისტორიების სახელმძღვანელოებიდან, არამედ იყო სისტემური მცდელობა, რომ იგი მთლიანად ამოეძირკვათ თაობების რეალური მეხსიერებიდან. თუმცა ამაოდ... ეროვნული თავისუფლების დაუოკებელი სურვილის ჩაკვლა იმპერიულმა რეჟიმმა ვერა და ვერ შეძლო...

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, მაშინდელ საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებმა ნოყიერი ნიადაგი შექმნა  წლების განმავლობაში ფაქტიურად იატაკქვეშეთში გადასული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის გასაძლიერებლად, რომლის სახალხო ხასიათი, მასობრიობა და ერთსულოვნება კარგად გამოჩნდა ჯერ კიდევ 1989 წლის აპრილის მძლავრ საპროტესტო აქციებზე, შემდეგ კი 1991 წლის 9 აპრილს ჩატარებულ საყოველთაო რეფერენდუმზე, როცა ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. ასე, რომ წლევანდელ 26 მაისს ამ რეფერენდუმიდან 30 წლისთავიც შესრულდა...

უკვე მეორე წელია, ჩვენი ქვეყანა, 26 მაისს შედარებით მოკრძალებულად აღნიშნეს იმ მძიმე რეალობის გამო, რომელიც გლობალურმა კოვიდინფექციურმა პანდემიამ შექმნა მთელს პლანეტაზე, რასაც მოჰყვა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური რეალობის შექმნა—გაუფასურებული ეროვნული ვალუტა, ეკონომიკის ☞2

## გზა მშვიდობისა!

**მეთორმეტეკლასელთათვის დასრულდა 2020-2021 სასწავლო წელი. თერჯოლელი 247 კურსდამთავრებული მომავლის იმედით დაემშვიდობა მშობლიურ სკოლას, აღმზრდელებს, თანატოლებს...**

**მართალია, კოვოდრეგულაციების გამო ბევრ ტრადიციულ ღონისძიებას ეთქვა უარი, მაგრამ სამახსოვროდ ერთად გადაღებული სურათები, თეთრი წარწერებიანი მაისურები და წინსაფრები, ერთად გატარებული რამდენიმე საათი და პედაგოგების დალოცვა ამჯერადაც დარჩებათ...**

**ახლა მათი მთავარი გამოწვევა ეროვნული გამოცდებია...**

**წარმატებები და მშვიდობიანი გზა-სავალი გვისურვებია...**

## 1 ივნისი — ბავშვთა დაცვის დღე

ვულოცავთ ჩვენს პატარებს, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას ვუსურვებთ სრულიად საქართველოს მომავალ თაობას...

მრავალჟამიერი მათ სილამაზეს, სიცოცხლეს და სიკასკასეს. ბედნიერი ბავშვობა და წარმატებული მომავალი თითოეულს... სიყვარულით და მზრუნველობით აღზრდილიყვნენ ქვეყნის მომავლის მესაძირკვლედ და იმედად!

## ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2,3 10

## სამშობლო— ჩვენი ბედისწერა

☞6

## იაკობ გოგებაშვილს ძეგლს დაუდგამენ

☞8

## ივნისი
### საეკლესიო კალენდარი

**10 ივნისი - ამაღლება**
**20 ივნისი - სულთმოფენობა**

# საქართველოს ყველა მოქალაქის დღე!

1☞

დაცემა, უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა, პოლიტიკური რადიკალიზმი და მოქალაქეთა მთელ რიგ პრობლემებზე პროტესტების ტალღა ქვეყნის სხვადასხვა გეოგრაფიულ წერტილში...

მიუხედავად ყველაფრისა, წლევანდელი 26 მაისის ღონისძიებებმა, ჩვენი პარტნიორი და მეგობარი ქვეყნების გულწრფელმა მოლოცვებმა და სურვილებმა, ჯარისლაცების საზეიმო ფიცმა დამოუკიდებელი საქართველოს მხედარმთავრის, გენერალ გიორგი კვინიტაძის ნეშტის ჩამოსვენებამ საქართველოში და მისმა დაკრძალვამ მთაწმინდის პანთეონში, გააღვივა იმ რწმენის ნაპერწკალი, რომ ჩვენს ქვეყანას დაღუპვა და ერს გადაშენება არ უწერია...

სადღესასწაულო ღონისძიებები სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მეტად მოკრძალებულად საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა, მთავარი ეპიცენტრი კი დედაქალაქი იყო...

## თავისუფლების მოედანი

თავისუფლების მოედანზე შეკრებილ საზოგადოებას—უცხოელ სტუმრებს პოლონეთის პრეზიდენტს, დიპლომატიური კორპუსის და საპატრიარქოს წარმომადგენლებს, საჯარისო ნაწილებს, მთავრობისა და პარლამენტის წევრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, პარლამენტის თავმჯდომარემ კახა კუჭავამ, პოლონეთის პრეზიდენტმა ანდრეი დუდამ.

შესრულდა საქართველოს ჰიმნი, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდბელობისათვის დაღუპულ გმირებს, სამშობლოსათვის ერთგულების ფიცი დადეს ახალწვეულმა რეკრუტებმა.

## გენერალი გიორგი კვინიტაძე

გენერალ კვინიტაძის სახელი ოკუპაციასთან შეურიგებლობას და თავისუფლებისთვის ბრძოლას განასახიერებს და მისი საქართველოში გადმოსვენება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ქვეყნისა და ხალხისათვის.

„არმია თავისი ხალხის თვისებების ანარეკლია, რადგან პირმშოა ამ ხალხისა, მისი სისხლი და ხორცი“ - ეს არის იმ ადამიანის სიტყვები, ვინც თავად იყო ამ დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, თავისი ხალხის შინაგანი ძლიერების თვალსაჩინო მაგალითი, ქვეყნის ღირსეული შვილი.

**გიორგი კვინიტაძე 1874 წლის 21 აგვისტოს დაიბადა. მან სამხედრო განათლება თბილისსა და პეტერბურგში მიიღო. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნამდე, 1917 წლის მეორე ნახევრიდან, აქტიურად მონაწილეობდა ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესში. დიდი წვლილი შეიტანა, 1919 წელს, ქართული სამხედრო სკოლის დაარსებაში და იყო მისი პირველი ხელმძღვანელი.**

**საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, გენერალი კვინიტაძე, მთავრობისა და სარდლობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც 1970 წელს გარდაიცვალა.**

## მერაბ კოსტავა

26 მაისი ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მედროშის, მერაბ კოსტავას დაბადების დღეა. მას 82 წელი შეუსრულდებოდა.




# ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

**რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.**

## ისინი ჩვენი მომავლისათვის იბრძოდნენ...

**ფაშიზმზე გამარჯვების 76-ე წლისთავს, თერჯოლა, მეორე მსოფლიო ომგამოვლილი და შინ დაბრუნებული1208 მებრძოლიდან მხოლოდ ორად-ორი ვეტერანით შეხვდა.**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი და მაჟორიტარი დეპუტატი, ბეჟან წაქაძე, ამ დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ვეტერანებს **დიმიტრი აბესაძეს** (ქ. თერჯოლა) და **ნიკოლოზ გვენეტაძეს** (ზედა სიმონეთი) ოჯახებში ესტუმრნენ, ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს, საჩუქრები გადასცეს და გმირობისათვის მადლობა გადაუხადეს. ამასთან, ორივე ვეტერანს პირად ანგარიშზე 500-500 ლარი ჩაერიცხათ.

„საქართველოსაც არაერთი თავდადებული ცოცხალი თუ დაღუპული გმირი ჰყავს, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ომის სიმწარე და დაუღალავი ბრძოლით მოიპოვეს მშვიდობა. მინდა ყველას მივულოცო ფაშიზმზე გამარჯვების დღე, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, ჩვენს სახელოვან ვეტერანებს, თითოეულ მათგანს ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. ეს მათი გამარჯვების, თავდადების და გმირობის დღეა. მუნიციპალიტეტის მერია, ტრადიციულად ფინანსურ დახმარებას გაუწევს ომის მონაწილეებს და მათ ოჯახებს“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

მეორე მსოფლიო ომში თერჯოლიდან 3 533 ადამიანი გაიწვიეს, აქედან 2 325 დაიღუპა, ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

ნათელი მათ ხსოვნას, ჩვენს ვეტერანებს კი ჯანმრთელობა ვუსურვოთ!

**კაცებო, გმადლობთ, რომ ხართ!**

**გთხოვთ ჭიქები აივსოთ,**

**—ერთხელაც ვთქვათ სიტყვა საცხრამაისოდ!**

**გავიხსენოთ გმირი თანამებრძოლნი. მათი სულებისა ვთქვათ, მათი დიდებისა...**

## ზურაბ რობაქიძე - 90

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, აკადემიკოსს, თერჯოლის საპატიო მოქალაქეს ზურაბ რობაქიძეს 90 წელი შეუსრულდა.**

„თერჯოლის“ მკითხველს, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში საგანგებოდ ვუამბეთ ამ ღირსეული პიროვნების შესახებ.

ხაზგასასმელია, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი თერჯოლის საპატიო მოქალაქეს, ზურაბ რობაქიძეს საიუბილეო თარიღის მისალოცად სახლში ეწვია და სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

„პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ზურაბს საზოგადოებისთვის გაწეული ღვაწლისთვის. იგი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა ქვეყანას და დაუღალავად ზრუნავდა ადამიანთა ჯანმრთელობაზე. მას საყვარელი საქმე არასდროს მიუტოვებია და დღესაც ახალგაზრდული შემართებით აგრძელებს მოღვაწეობას. მისი ქვეყნისადმი სიყვარული, შრომისმოყვარეობა და ენერგია ნამდვილად გასაოცარი და საამაყოა.

მთელი გულით მინდა მივულოცო 90 წლის იუბილე და მუნიციპალიტეტის სახელით ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

## მერის სააღდგომო საჩუქრები...

**თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით, 70 წელს გადაცილებულ მარტოხელა მოხუცებს სასურსათო კალათები გადაეცათ.**

რამდენიმე ოჯახში პირადად მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, იმყოფებოდა. მან, თითოეულ მათგანს, სააღდგომო ნობათი გადასცა, უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული—აღდგომა მიულოცა და ოჯახის წევრებს სააღდგომოდ კოვიდ რეკომენდაციების სრულად დაცვისკენ მოუწოდა.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია, პერიოდულად, სხვადასხვა სახის სოციალურ აქტივობას ახორციელებს, რაც გულისხმობს შეჭირვებული ოჯახებისთვის არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას. სააღდგომო ნობათი ყველა საჭირო პროდუქტს მოიცავს, ბენეფიციარებს სასურსათო პაკეტები ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებმა პირადად გადასცეს, რათა ამ ოჯახებს შეძლებოდათ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის ტრადიციულად აღნიშვნა“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

მერიის სოციალური პროგრამით, პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტები სააღდგომოდ 120 ოჯახმა მიიღო.

# ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

## ახალი სახლები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის...

**ერთი თვის წინ, „თერჯოლასთან“ საუბარში მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა განაცხადა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალურად შეჭირვებული 5 ახალი სახლი აშენდება, რისთვისაც ადგილობრივ ბიუჯეტში სახლდაზიანების პროგრამის ეფექტური მუშაობისთვის თანხა 175 000 ლარამდე გაიზარდა.**

მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, მოადგილეებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქ თერჯოლასა და სოფელ სიქთარვაში რამდენჯერმე გაეცნო სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროცესებს და მშენებლებს ვადებისა და ხარისხის დაცვის შესახებ ესაუბრა.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში მოქმედი „სახლდაზიანების“ პროგრამის ფარგლებში სულ სამი სახლი აშენდა. მიმდინარე წელს კი ხუთი ახალი სახლის მშენებლობა დასრულდება, პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს. ჩვენ ვიზრუნებთ სახლდაზიანების პროგრამა კიდევ უფრო მასშტაბური და ეფექტური გავხადოთ, რათა თითოეული სოციალურად დაუცველი ოჯახის ცხოვრების პირობები გავაუმჯობესოთ.“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.



მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი შესაბამისმა კომისიამ შეისწავლა და გადაწყვეტილება დეტალური განხილვის შედეგად მიიღო.

სამშენებლო სამუშაოებს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „გზები 2“ ახორციელებს.

## თემურ ჯაფარიძის გარდაცვალების გამო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია ღრმა მწუხარებას გამოხატავს, მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის, თემურ ჯაფარიძის გარდაცვალების გამო.

თემურ ჯაფარიძე 2014-2017 წლებში მუნიციპალიტეტის გამგებელი იყო, რომელიც გამოირჩეოდა კოლეგიალობით, მეგობრობით, გუნდური მუშაობით, ეფექტური კომუნიკაციის უნარით, საქმისადმი სიყვარულითა და პროფესიონალიზმით. დიდია მისი წვლილი რაიონის განვითარების საქმეში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

## მორიგი სამუშაო შეხვედრა

სააღდგომო დღესასწაულის შემდეგ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილეებთან ერთად, სამსახურის უფროსებთან, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებთან და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან მორიგი სამუშაო თათბირი გამართა.

ხელმძღვანელმა პირებმა, მერის წარმომადგენლებისგან სოფლებში არსებული მდგომარეობა დეტალურად განიხილეს და მათთან ერთად პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებზე და სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს.

თათბირზე, მერმა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, პროექტების სახით მომზადების პროცესზე ისაუბრა და მისივე წარმომაგდგებნლებს მერიის სამსახურებთან აქტიური თანამშრომლობა და კოორდინაცია მოსთხოვა, რომ თითოეული პროექტისთვის გამოყოფილი თანხის ათვისება და შესრულება დროულად მოხდეს.

შეხვედრაზე განიხილეს თერჯოლაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა. აღნიშნულზე ინფორმაცია ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელმა, თამარ არჯევანიძემ წარმოადგინა. საკითხის განხილვისას მუნიციპალიტეტის მერმა კვლავ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება კოვიდრეგულაციების დაცვისა და მათი კონტროლის მექანიზმზე. მანვე მოსახლეობას მაქსიმალური სიფრთხილისკენ და რეკომენდაციების სრულად დაცვისკენ მოუწოდა.

სოციალური სამსახურის უფროსმა, დიანა ფოცხვერაშვილმა, ისაუბრა სოციალური პროგრამების წარმატებით განხორციელებაზე, დეტალურად განიხილა ერთჯერადი ფინანსური დახმარებების გაცემის წესი. მუნიციპალიტეტის მერმა, წარმომადგენლებს ყველა დოკუმენტის ყურადღებით შესწავლა დაავალა, რათა სწორად გადანაწილდეს დახმარების გაცემა და მეტმა ადამიანმა შეძლოს სოციალური პროგრამებით სარგებლობა.

მუნიციპალიტეტის მერის დავალებით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ აქტიურად შემოწმდება თერჯოლაში არსებული სამეწარმეო ობიექტები და მერიის უფლებამოსილების ფარგლებში მიეცემათ გაფრთხილებები, რათა სრულად დაიცვან რეკომენდაციები.

მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის თქმით, სამუშაო შეხვედრები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, რათა მოსახლეობის მხრიდან დასმული ყველა საკითხის განხილვა დროულად მოხდეს და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

## გვექნება ახალი საინფორმაციო პორტალი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ინიციატივითა და ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურის ცენტრის ჩართულობით თერჯოლის ახალი საინფორმაციო პორტალი შეიქმნება, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა სახის ინფორმაციის, საინტერესო სტატიებისა და სიახლეების მომხმარებლისათვის მაქსიმალურად ეფექტურად მიწოდებას.

ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ა(ა)იპ მოსწავლე- ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელს, რუსუდან კოვზირიძეს, ევროკავშირის პროექტის ფარგლებში პროექტის ასისტენტს, ნინო ჭაბუკიანსა და კომპანიის წარმომადგენელს ავთანდილ ქარქაშაძეს შეხვდა, სადაც განიხილეს ვებ გვერდის დიზაინი და ინფორმაციის განთავსების საკითხები, აქვე ხელი მოეწერა ვებ გვერდის დამზადების შესახებ ხელშეკრულებას.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით „საინფორმაციო ვებ გვერდის შექმნა მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის ინფორმაციების ხელმისაწვდომობას, რეგულარულად განახლებადი და თემატური ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება.“

მკითხველს ვაცნობებთ, რომ ამ პორტალზე გაზეთ „თერჯოლის“ ელექტრონულ ვერსიასაც იხილავთ.

პროექტი ხორციელდება თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, ფონდი „სოხუმისა“ და ევროკავშირის (EU) ფინანსური მხარდაჭერით.

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ამირან ვერულაშვილი** ხელმძღვანელობდა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი 10 საკითხის შესახებ იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N14 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

მხარი არ დაეჭირა დღის წესრიგით წარმოდგენილ — „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 2 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შესახებ საკითხს.

სხდომაზე მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ საკითხებს და ქირავნობის შესახებ საკითხებს.

ამასთან, ცვლილებები შევიდა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2021 წლის პროგრამაში, „უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის“ პროგრამაში, „მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების პროგრამასა“ და „მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ერთჯერად პროგრამაში“.

ასევე მხარდაჭერილია საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ N46-92 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.

## ჩხარიეწრელების გზა...

სოფელ სიქთარვისა და ჩხარი-ეწრის გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს, რაც აქტიურად მიმდინარეობს, დიდი ინტერესითა და მოლოდინით ადევნებენ თვალს ამ სოფელში მცხოვრები ადამიანები.

სამუშაოებიდან, რომელსაც შპს „ბორანი“ ასრულებს (ხელმძღვანელი: ბექა არაბიძე), ერთნახევარკილომეტრიანი გზა ჩვენი სტუმრობისას დამთავრების ფაზაში იყო. სავარაუდოდ, ვიდრე ჩვენი ეს გაზეთი გამოვიდოდეს მოასფალტების პირველი რიგის სამუშაოები სრულად დამთავრდება და ამით 3,5 კილომეტრიანი გზის პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდება. დარჩენილ 2 კილომეტრიან მონაკვეთზე სამუშაოები მომავალში გაგრძელდება. პროექტის მთლიანი ღირებულება მილიონსამასაიათასი ლარია.

სამუშაოთა მწარმოებელი ფირუზ სილაგაძე სიამოვნებით საუბრობს აქ მომუშავე ადამიანებზე: მალხაზ, ავთო, ნოდარ ტაბატაძეებზე, მანუჩარ ბუბაშვილზე, ნიკა, მარლენ სილაგაძეებზე, სპარტაკ მორალიშვილზე, დავით მაკარიძეზე, ვეფხია მაღლაკელიძეზე, ავთო სებისკვერაძეზე.

ითქვა, რომ დაზიანებულია სიქთარვა-ჩხარიეწრის და ძევრის გზის მონაკვეთი, რომლის სარეალიბიტაციო სამუშაოების პროექტი არსებობს, მიმდინარეობს ზრუნვა თანხის მოძიებაზე. ზიანი მიიღო სიქთარვის ცენტრალურმა გზამ, მისი რეაბილიტაციაც აუცილებელი იქნება.

ჩხარიეწრის გზაზე ასფალტის სამუშაოების დაწყების პირველ დღეს მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი მოვიდა თანმხლებ პირებთან ერთად, აქ იყვნენ და სამუშაოს მუდმივად აკვირდებიან სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი კოტე ამაშუკელი, მერის წარმომადგენელი გიზო ხანიაშვილი.

**ჟუჟუნა ცხადაძე**

# კორონავირუსი და ჩვენ...

## პანდემიის გმირი

პანდემიის დაწყებისთანავე კლინიკა „იმერმედი“ 2020 წლის 8 მარტიდან ჩართული იყო როგორც „ცხელების ცენტრი“, ხოლო 13 სექტემბრიდან იყო ერთადერთი კლინიკა ქვეყანაში, რომელიც ემსახურებოდა კოვიდ-ინფიცირებულ ფსიქიურ ავადმყოფებს. 14 ოქტომბრიდან კი სრულიად შეიცვალა სტატუსი და გახდა კოვიდკლინიკა. სწორედ იმ ავბედითობის ჟამს, როდესაც პანდემია მძვინვარებდა და ახალი იყო, როდესაც დაინფიცირდა მოსახლეობა და მედპერსონალის დიდი ნაწილი, როდესაც პრობლემა არამარტო ახალი ვირუსის ამოხსნა-დაძლევაში მდგომარეობდა, არამედ უდიდეს პრობლემად იქცა შრომის უნარიანი მედპესონალის არსებობა, როდესაც დაინფიცირებული და ძალაწართმეული ექიმები, მედდები, თანაშემწეები და სანიტრები სამუშაოს ვეღარ აუდიოდნენ, ზოგსაც კი მხნეობა არ ეყოთ და სახლებში დაემალნენ ვირუსს, სწორედ ამ დროს გამოჩნდა „უჩინარი“ გმირი „იმერმედი“-ს წარმატებული ფიზიოთერაპევტ-მასაჟისტი ონისე ისაკაძე, რომელიც კლინიკის ხელმძღვანელობასთან მივიდა თხოვნით დაერთოთ ნება, ჩართულიყო ამ ვერაგ მტერთან ბრძოლაში. მზად იყო ნებისმიერი დავალება შეესრულებინა, რასაც კი შესძლებდა, ოღონდ თავის დიდი ოჯახის „იმერმედი“-ს წევრების გვერდით მდგარიყო. რა თქმა უნდა, კლინიკის ხელმძღვანელობა მოხარული შეხვდა მის ამ ნაბიჯს და მასაჟისტი ონისე ისაკაძე ერთ-ერთ ურთულეს განყოფილებაში ჩართეს ვირუსთან ბრძოლის სამსახურში.

გაგიკვირდებათ რა უნდა მასაჟისტს რეანიმაციაშიო, მაგრამ ადამიანს თუ კეთილი საქმის კეთება უნდა, ის სათავისო საქმესაც იპოვის. დიახ, ონისე ის ადამიანია, რომელიც არ თაკილობდა იატაკის დაგვას, მტვერის გატანას, მძიმე პაციენტებზე შარდმიმღებების გაცლას, როდესაც დაუძლურებული სანიტრები და მედდის თანაშემწეები წვეთოვანდაერთებული ძლივს დალასლასებდნენ პაციენტების მოსავლელად. დიახ, ნულიდან დაიწყო ონისემ რეანიმაცია, შემდეგ თანაშემწეს შეეშველა წამლის მიწოდებაში, შემდეგ ექთანს და ასე ისწავლა რა არის ამბუს პარკი, ლარინგოსკოპი, საინტუბაციო მილები, ელექტრო საქაჩი, სანაციის მილები და სხვადასხვა მძიმე პროცედურებისათვის საჭირო ინსტრუმენტები... მასაჟისტი ონისე ისაკაძე პანდემიასთან ომში გამოიწრთო და შეისწავლა მედდის პროფესია, მარჯვენა ხელად იქცა მედდებისათვის.

ამ ომში ყველა ექიმი და უმცროსი მედპერსონალი გმირია. ფასდაუდებელია მათი თავდაუზოგავი შრომა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სასწორზე დადება პაციენტთა გამო, უამრავი უძილო ღამე, მონატრებული ოჯახის წევრები, კვირაობით გამოკეტილები კლინიკაში ჯანმრთელობა შერყეულები უძლებდნენ ყველა საკუთარ ტკივილს და უანგაროდ ემსახურებოდნენ მძიმე ვირუსით დაავადებულებს. მაგრამ ონისეს გმირობა ხაზგასმას იმსახურებს, რადგან ის არის ადამიანი, რომელიც ფრონტის წინა ხაზზე საკუთარი სურვილით ჩაება და ისე შეიყვარა კრიტიკული მედიცინის განყოფილება და მედდის პროფესია, რომ სამომავლო გეგმებში პროფესიულ განათლებად მედდის საქმე დაისახა.

წარმატებებს ვუსურვებთ ონისე ისაკაძეს დასახული მიზნების ასრულებაში.

**მაია ერგემლიძე,**
**„იმერმედის“ პიარ მენეჯერი**

## „სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამით“

***...დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი. მუშაობდა სპეციალობით თბილისში და რაიონში. ბოლო 25 წელია ალისუბნის ამბულატორიის ექიმია. ემსახურებოდა როგორც ქვედა, ისე ზედა ალისუბნის მოსახლეობას. რამდენიმე წელია ზედა ალისუბანს „საკუთარი“ ექიმი რუსუდან კილაძე და ექთანი დარეჯან ბეღელაძე ჰყავს. უბანში ექიმის და ექთნის დანიშვნამ უფრო ხელმისაწვდომი გახადა, როგორც კონსულტაცია, ისე სხვა ამბულატორიული მომსახურება. იმუნიზაციის პროგრამა ორივე უბნისათვის ქვ. ალისუბნის ამბულატორიაში ხორციელდება.***

## გვესაუბრება იამზე წიწილაშვილი, ალისუბნის ამბულატორიის ოჯახის ექიმი

როგორც ყველა ამბულატორიის ექიმი, ჩვენც ვმუშაობთ ხელშეკრულებით „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამით. აღნიშნული პროგრამის მოცულობაში შედის: ექიმთან/ექთანთან ვიზიტი; იმუნიზაცია, იმუნიზაციის ეროვნული კალენდრის მიხედვით; ჯანმრთელი პირებისა და ახალი პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება; ბავშვებისა და მოზარდების განვითარებაზე მეთვალყურეობა; ინკურაბელურ პაციენტებთან ვიზიტი საჭიროების შესაბამისად; ქრონიკული და მწვავე დაავადებების მართვა და რეფერალი საჭიროების შესაბამისად; სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, ცნობებისა და რეცეპტების გაცემა (მათ შორის ინკურაბელური პაციენტებისათვის).

მიყვარს ჩემი პროფესია, არასდროს არ მიფიქრია სხვა პროფესიის ვყოფილიყავი, მიყვარს ჩემი სოფელი და ხალხი, ვცდილობ არ დავიზარო პასუხის გაცემა, თუ რა თქმა უნდა მომეპოვება, თუ არ მაქვს სწორი მიმართულება, მაინც მივცე...

რაც შეეხება პანდემიას, რომელიც მსოფლიოს სხვა ხალხებთან ერთად თავს დაგვატყდა, ნამდვილად შეგვაშინა, ვერ ვიტყვი იოლად ვუყურებ ამ ამბავს, თანაც იმიტომ, დარწმუნებული ვარ ეს ყველაფერი მალე არ დამთავრდება. შეიძლება, შიგადაშიგ მდგომარეობა შემსუბუქდეს, მაგრამ გარდაცვლილი ადამიანებით გამოწვეული გულისტკივილი კიდევ გვექნება.

თავდაპირველად როცა მოსახლეობა მიხვდა რასთან გვქონდა საქმე ტელეფონით მიკავშირდებოდა პანიკური შიშით შეპყრობილი, შემდეგ ზოგმა იოლად გადაიტანა და აღარც კი სჯეროდა დაავადების სირთულის, მე ვეტყვი ყველას, ვისაც არ სჯერა—ერთისათვის შეიძლება იოლად გადასალახი იყოს, მაგრამ მეორე პიროვნება დაზარალდეს, ამიტომ გვმართებს სიფრთხილე—ნიღაბი, დისტანცია, ხელების ხშირი დაბანა, ეს არის აუცილებელი, ამას ისიც ამტკიცებს, როცა მოსახლეობა ჩაიკეტა, სხვა ინფექციური დაავადებებიც საკმაოდ შემცირდა, ე.ი. კონტაქტი დიდ როლს თამაშობს დაავადების გავრცელებაში.

მე მივეკუთვნები იმუნიზაციის მომხრეთა რიცხვს, სოფლის ექიმები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში აცრას ვატარებთ თითქმის წელიწადის 12-ვე თვეს; და არ მგონია აცრის რომელიმე დღე რომელიმესათვის იყოს მშვიდი, მათ შორის ჩვენთვის, მე და ჩემი ექთნის ეთერ კუპატაძისთვის, რომელიც სულ მხარში მიდგას და კეთილსინდისიერად ემსახურება ჩვენს სოფელს, გვაქვს განცდა, მაგრამ ვაქცინაცია რომ არ ყოფილიყო რამდენიმე დაავადება სპობდა ადამიანის სიცოცხლეს, „უკეთეს“ შემთხვევაში აინვალიდებდა, ამიტომ მე ჩავიტარე აცრა, ავიცერი „ასტრა ზენეკათი“, აიცრა ჩემმა მეუღლემაც, გვქონდა, რა თქმა უნდა ფიქრი გართულება არ მოჰყოლოდა, ჯერჯერობით თავს კარგად ვგრძნობთ; ნებაყოფლობით გავხდით ექსპერიმენტის მონაწილე; სანამ ვაქცინა ჯერ კიდევ გამოუცდელია—ყველამ თვითონ უნდა გამოიტანოს დასკვნა და მიიღოს გადაწყვეტილება აიცრას თუ არ აიცრას.

რაც შეეხება ამბულატორიაში სამუშაო პირობებს, ბევრი რამ არის, რასაც ვისურვებდი უკეთესად ყოფილიყო; როგორც გვესმის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გათვალისწინებული აქვს სიახლეები ახლო მომავალში, პირველადი ჯანდაცვა ხომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს;

ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, პანდემიაზე გამარჯვებას. ქვეყანას მშვიდობას და ეკონომიურ სიძლიერეს, რომლის გარეშე ვერც ჯანმრთელობას განვიმტკიცებთ და ვერც უკეთეს სამუშაო პირობებს შევიქმნით ჩვენს ამბულატორიებში!

***რამდენიმე წელია ქვეყანაში მოქმედებს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, სამედიცინო მომსახურების ფინანსურმა უზრუნველყოფამ ბევრი ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე გადაარჩინა, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს მომსახურების თანხის გადახდის შესაძლებლობა.***

***ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ პროგრამასთან ერთად მუნიციპალიტეტში მოქმედებს პირველადი ჯანდაცვა, სხვადასხვა სოციალური და თანადაფინანსების პროგრამები.***

**ჟუჟუნა ცხადაძე**

## პატივცემულო გაზეთ „თერჯოლა“-ს რედაქციის თანამშრომლებო

მოგმართავთ თხოვნით!

დაგვითმეთ გაზეთის გვერდზე მოკრძალებული ადგილი იმ სამადლობელი სტრიქონებისთვის, რომლითაც შეიძლება დაგვიანებით, მაგრამ წრფელი გულით გვინდა მივმართოთ თერჯოლის საავადმყოფო „იმერმედი“-ს თანამშრომლებს, დაწყებული მთავარი ექიმიდან რიგით მუშაკამდე.

ბლომად ვიყავით ამბროლაურელები თქვენს ხელში, კოვიდით დაინფიცირებულნი, შეშინებულნი, მაგრამ თქვენმა პროფესიონალიზმა, სითბომ, ყურადღებამ და მზრუნველობამ შედეგიც გამოიღო. ოჯახებს გამოჯანმრთელებულნი დავუბრუნდით და რაც მთავარია, დაგვარწმუნეთ იმაში, რომ მარტო თეთრი ხალათი არაა საკმარისი პროფესიის შესაფასებლად, არამედ გული, რომლისთვისაც ადამიანის გადარჩენა მარტო მოვალეობა კია არა, არამედ მოწოდებაა და შიგნიდანაც მოდის.

დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

ფარავდეს უფალი თქვენს ოჯახებს და ჩვენს ერს. თქვენ დასაფასებელი ხალხი ხართ.

**პატივისცემით,**
**პაციენტების სახელით დალი დვალი, მანანა გაბისიანი.**
**ქ. ამბროლაური**

## ატარე პირბადე, აიცერი...

ეპიდემიის წინააღმდეგ წარმოებულ ღონისძიებათა შორის მედიკოსთაგან ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია პირბადის ტარება.

ხელისუფლება მოქალაქეებს მოუწოდებს იყვნენ კანონმორჩილნი და მკაცრად დაიცვან უსაფრთხოების წესები.

სამწუხაროდ, ვერადავერ ვთმობთ ყოველდღიური ცხოვრების დამკვიდრებულ წესსა და ჩვევებს. პირიქით, ვგონებ თავსაც ვიწონებთ ძველებურ საძმაკაცო შეკრებებით, ზომაგადასული ღრეობებით, „ხვევნა-კოცნა მტლაშამტლუშით“, მავანნი პირბადის ტარებასაც ირონიით უცქერენ... მიიჩნევენ, რომ კორონა სადღაც შოოორს არის თავისთვის მიყუჟული. არა და... რაოდენ სამწუხაროა, რომ საქართველოში (და სხვაგანაც) ბევრი, ჯერაც ახალგაზრდა ასაკის, ჯანღონით სავსე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ყოვლად გაუმართლებელმა და აუხსნელმა ქმედებამ. ღმერთმა შეუნდოთ, მხოლოდ სინანული გვაწერინებს, ამ სტრიქონებს, მხოლოდ სინანული, სხვა არაფერი.

—კორონაზე აიცერი?
—კი, შენ რა ქენი?
—ჯერჯერობით სიდედრმა გამოიჩინა ინიციატივა, ვნახოთ, რა იქნება.

სურვილია უგუნურ ძალას—გონიერება დავუპირისპიროთ.

„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?“

**ნუგზარ იშხნელი**

# შემოქმედებითი ანსამბლები სრულ მზადყოფნაში არიან...

***„საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქართული კულტურა, ჩვენი იდენტობის ჩვენი მრავალეთნიკური სახელმწიფოს ხალხთა ერთობის საძირკველია, ამავე დროს იგი ქვეყნის უმთავრესი სავიზიტო ბარათია“.***

***ქართული ფოლკლორი კი ამ კულტურული საგანძურის ფასდაუდებელი ნაწილია...***

***გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუკი შეიძლება რომელიმე სფეროში მიღწეული წარმატებებით თერჯოლელებმა ვიამაყოთ, ერთ-ერთი გამორჩეული კულტურის სფეროა.***

***სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები „იმერეთი“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე), „იამე“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“ (სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა ჭანკვეტაძე, ქორეოგრაფები ირინა ბუცხრიკიძე და გიორგი ჭანკვეტაძე) არა მხოლოდ თერჯოლასა და სრულიად საქართველოშია ცნობილი, მათი სახელები კარგა ხანია გასცდა ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვეს.***

სიმღერის ფოლკლორული ანსამბლი „იმერეთი“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), რომელიც 1940 წელს მაშინდელი ჩხარის რაიონის კულტურის სახლთან შეიქმნა, მიუხედავად მასში თაობათა და ხელმძღვანელთა ცვლისა, წლებთან ერთად ძლიერდებოდა, იხვეწებოდა და დღესაც საინტერესო რეპერტუარით და მაღალი საშემსრულებლო ხელოვნებით გამოირჩევა. უფრო მეტიც, სულ უფრო პოპულარული ხდება. ძნელია ჩამოთვალო ყველა წარმატება და ანსამბლის მიერ მოპოვებული ყველა ჯილდო.

დიდი პატივია, რომ „იმერეთი“ შესულია 2017 წელს „ქართული ფოლკლორის საგანძურის“ ეგიდით პირველად გამოცემულ წიგნში „ფოლკლორული ანსამბლები“. ეს წიგნი არის ფოლკლორის ეროვნული ფონდის პირველი პროექტი, რომელიც განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით და მისივე ფონდის დაფინანსებით. ამავე გამოცემაში შესულია აგრეთვე ქალთა ანსამბლი „იამე“, რომელიც 2012 წელს შეიქმნა და მალევე მოიპოვა პოპულარობა, სატელევიზიო კონკურს „ნიჭიერში“ მონაწილეობით, სადაც ფინალისტი გახდა, ხოლო იმავე პერიოდში თურქეთის ქ. მარმარისში საერთაშორისო ფესტივალის—გრან-პრის მფლობელი, შემდეგაც არა ერთი პრიზისა და დიპლომის მფლობელი.

ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმერეთზე“ საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. შეიძლება ითქვას მისი წარმატებები და შესაძლებლობები ნამდვილად სცდება ერთი პატარა რაიონის დონეს.

ორი წლის წინ, ანსამბლის 50 წლის იუბილე აღინიშნა. იმ დღეს თერჯოლელ მოცეკვავეთა მაღალი დონის საშემსრულებლო ხელოვნებაზე, პროფესიონალიზმზე, აღტაცებით საუბრობდნენ საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირისა და საქართველოს ქორეოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენლები, ქართული ქორეოგრაფიის კორიფეები: ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე, რეზო ჭანიშვილი, იური ტორაძე და სხვები, იყო უდიდესი შეფასება და უდიდესი სიამაყის გრძნობა თითოეული თერჯოლელისათვის.

ანუ „იმერეთი“ ეს ის ანსამბლია, აღტაცებაში რომ მოჰყავს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა, სადაც კი ყოფილა და ყველგან უპირველესი ჯილდო და აღიარება რომ მიუღია, ნებისმიერ ფესტივალსა თუ კონკურსში... „იმერეთს“ 2012 წელს სერთიფიცირებული ანსამბლის წოდება მიენიჭა.

და კიდევ ერთი სიამაყე თერჯოლის კულტურისა, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მასპინძელო“. ანსამბლი 2006 წელს შეიქმნა კულტურის სახლის დირექტორის ქალბატონ ლია ბუსკივაძის ძალისხმევით. შექმნის დღიდან ანსამბლს ქალბატონი ინეზა ბუცხრიკიძე ხელმძღვანელობს. სულ უმცირესი დროის მონაკვეთში იგი ერთ-ერთ საუკეთესო ანსამბლად ჩამოყალიბდა. ვინ მოთვლის მას შემდეგ რამდენ კონკურსსა და ფესტივალში მიიღო მონაწილეობა რაიონში, ქვეყნის მასშტაბით თუ მის ფარგლებს გარეთ, რამდენი საღამო გაალამაზა. თითოეული გამოსვლა წარმატების ზენიტს აღწევდა. შესაბამისად მრავალი სიგელის, პრიზის თუ დიპლომის მფლობელია. ანსამბლი სისტემატურად განაახლებს რეპერტუარს. მრავალი ფოლკლორული, ქალაქური, თუ ლირიული სიმღერაა მის რეპერტუარში.

მაყურებელმა საოცრება იხილა ანსამბლის ათი წლის საიუბილეო საღამოზე, რომელიც სრული ანშლაგით გაიმართა, რომელსაც თერჯოლელებთან ერთად მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ დედაქალაქიდან და სხვადასხვა ქალაქებიდან.

ანსამბლმა არაერთი საფესტივალო თუ საგასტროლო მოგზაურობა და კონცერტები გამართა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ ნებისმიერი ქვეყნის მრავალ ანსამბლს აღემატება საშემსრულებლო ხელოვნებაში...

პანდემიამ მრავალ სფეროში შეაღწია განვითარების საწინააღმდეგო თავისი მკვეთრად გამოხატული დაბრკოლებებით. კულტურის სფეროში დისტანციური რეპეტიციები ჩაენაცვლა ტრადიციულ მუშაობას, რომელიც არც ისე მიმზიდველი და კომფორტულია, თუმცა მითითებული რეგულაციების შესრულება თითოეულის მოვალეობაა. მას შემდეგ, რაც რეგულაციები გადაიხედა, მუნიციპალურმა ანსამბლებმა მუშაობა განაახლეს...

კულტურის სახლის დირექტორი, ქალბატონი ლია ბუსკივაძე „თერჯოლასთან“ საუბრობს: „კულტურის სახლის კოლექტივი სიხარულით შევხვდით შეზღუდვების მოხსნას, ძალიან ინტენსიურად დავიწყეთ რეპეტიციები, რა თქმა უნდა ძირითადად დისტანციურად, რამდენადაც შესაძლებელი იყო საშემსრულებლო ნორმებიდან გამომდინარე.

ანსამბლების ხელმძღვანელებმა დიდი ძალისხმევა გამოიჩინეს, რათა გაცდენილი დრო აენაზღაურებინათ და ანსამბლები ჩვეულ ფორმაში ჩამდგარიყვნენ. მათ იზრუნეს თავიანთი რეპერტუარის არა მარტო აღდგენის, არამედ ახალი ნომრებით გამდიდრებისათვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ყურადღება და დამოკიდებულება, რასაც მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ ლაშა გოგიაშვილისაგან ვგრძნობთ, ასევე მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ბატონ გურამ თურქაძისაგან და ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელის, სოსო დევიძისაგან.

ბატონ ლაშას, რომელიც თავადაც ხელოვნებასთან წილნაყარი კაცია—კარგად აქვს გაცნობიერებული დარგის მნიშვნელობა, მისი განვითარებისათვის ხელშეწყობის საჭიროება, იმისათვის, რომ იგი კარგად გაცნობოდა თითოეული ანსამბლის საქმიანობას, პრობლემებსა და საჭიროებებს, მათ რეპერტუარსა და მომზადების დონეს, კულტურის სახლში დარგის ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ზემოთაღნიშნულ ანსამბლთა შემოქმედებით კოლექტივებს შეხვდა.

შეხვედრებზე იყო გულახდილი საუბარი, იმ საკითხებზე, რომელიც აქტუალურია შემოქმედებითი გუნდის თითოეული წევრისათვის, იყო საუბარი და მსჯელობა აგრეთვე სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებზე... იყო იმ მუშაობის ერთგვარი შეჯამება-შეფასებაც, რასაც ეს შემოქმედებითი კოლექტივები ეწევიან, გაიცა სამომავლო ხელშეწყობისა და თანადგომის დაპირებაც.

მუნიციპალიტეტის მერმა აგრეთვე მადლობა გადაუხადა ანსამბლების ხელმძღვანელებს გაწეული მუშაობისათვის,

„მიუხედავად პანდემიისა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი მუნიციპალური ანსამბლების საქმიანობას, დღეს ისინი სრული დატვირთვითა და ჩვეული პროფესიონალიზმით აგრძელებენ მუშაობას. მინდა აღვნიშნო, რომ ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“ გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით და ორიგინალური ქორეოგრაფიული დადგმებით, რაც მნიშვნელოვნად წარმოაჩენს ჩვენი რაიონის კულტურის დონეს“...

„ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ეროვნული ტრადიციული კულტურის ხელშეწყობა და განვითარება, ნიჭიერი შემსრულებლების წარმოჩენა და მონაწილეთა შორის შემოქმედებით სიახლეთა გაზიარება. კულტურის სახლთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებს მრავალწლიანი ისტორია აქვთ. გუნდის წევრები ენერგიული და ბუნებრივი შესრულებით გამოირჩევიან, გასაოცარია მათი პროფესიონალიზმი და ხელოვნებისადმი სიყვარული“.

ასეთი ყურადღება და დამოკიდებულება დარგისადმი, მუნიციპალიტეტის პირველი პირისაგან, აღნიშნა ქალბატონმა ლიამ, არის დიდი სტიმულატორი შემდგომი საქმიანობისათვის.

დღეს, როგორც არასდროს, როცა პანდემიის გამო საზოგადოება შეშინებული და დათრგუნულია, დიდი როლი ეკისრება შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის გააქტიურებას, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ დაბრკოლებათა გადალახვასა და სულიერ ძალთა მობილიზებაში. გამომდინარე აქედან, მაყურებელთა წინაშე გამოსასვლელად ემზადება თითოეული ანსამბლი, ისინი დიდი შემართებით ხვეწენ თავიანთ ხელოვნებას, რათა ჩვეული წარმატება და მოწონება დაიმსახურონ.

ჩვენი ანსამბლები სრულ მზადყოფნაშია, შეზღუდვების მოხსნის შემთხვევაში მაღალი დონის კონცერტი შესთავაზონ მაყურებლებს არა თუ გაერთიანებული ძალებით, არამედ თითოეულმა ცალ-ცალკეც კი.

აღსანიშნავია აგრეთვე თეატრალური დასის საქმიანობა, განაცხადა ქალბატონმა ლიამ, რომელმაც გასული წლის ოქტომბერში, შეზღუდვების მიუხედავად, აღადგინა და თეატრალურ ფესტივალზე ქუთაისში წარმოადგინა დავით კლდიაშვილის ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლი „ბაკულას ღორები“, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა ფესტივალის ჟიურის, თეატრალური საზოგადოებისა და მაყურებლების მიერ. დასი ამჟამად ამზადებს სპექტაკლს პრემიერისათვის, რომლითაც თერჯოლა მიმდინარე წლის ივლისში წარსდგება ფესტივალზე „თეატრალური იმერეთი 2021“.

თეატრი, მუსიკა, სიმღერა, ცეკვა ხომ მშვენიერებას აზიარებს ადამიანებს, ეხმარება ცხოვრების გზაზე დაბრკოლებათა გადალახვასა და სულიერ ძალთა მობილიზებაში, რაც ასე ძალიან სჭირდება დღევანდელობას, რაიონის, ქვეყნის საზოგადოებას.

სპექტაკლის დადგმა-ჩვენება, კულტურული ღონისძიებების მომზადება-ჩატარება სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობა, მხოლოდ კეთილი ნება არ არის, ყოველივე ამისათვის გარკვეული ფინანსური პრობლემებია გადასაჭრელი, მითუმეტეს დღევანდელ პირობებში, როცა პანდემიის გამო მნიშვნელოვნად დაზარალდა ქვეყნის ეკონომიკა და თუ ახალი სპექტაკლი მაინც იდგმება, ანსამბლები ახალ-ახალ რეპერტუარს ჰქმნიან... ეს ყველაფერი ხელისუფლების მხრიდან დიდი თანადგომის შედეგია. მადლობა მუნიციპალიტეტის მერიას და ამ სამსახურებს, რომელთა დახმარებით და ხელშეწყობით ყველაფერი კეთდება დარგის განვითარებისათვის, აღნიშნა ქალბატონმა ლიამ.

**მზია ცქიფურიშვილი**

# პატრიოტული და ეროვნული სულისკვეთებით...

*ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს ყოველთვის ჰქონდა თავისი განსაკუთრებული ადგილი, მოზარდის ფორმირებაში კი ეროვნულ ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს თავისი მაღალი დანიშნულება.*

*დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ სსრკ მთავრობამ საქართველოსთვის მიიღო. დადგენილება იძულებით სრულდებოდა, რადგან ქართველმა ყოველთვის იცოდა, რომ მავნე ტრადიცია არ არსებობს, რომ ხალხი თვითონ მოიშორებს ზედმეტს, საზიანოს.*

*ასე, თანდათან დაიკარგა ადამიანთა ურთიერთობის ძვირფასი ფორმები. ვსვათ ღვინო თამადის და სადღეგრძელოს გარეშე, ნუ მივაგებთ პატივს გარდაცვლილებს, ნუ მივულოცავთ წყვილებს ბედნიერებას, დაბადების დღეს ახლობლებს, უარი ვუთხრათ სახალხო დღესასწაულებს... ქართული ეროვნული სული მუდამ უნდა იქნეს ყველაფრის გამაერთიანებელი, პატრიოტიზმი კი ცხოვრების ძირითადი მიზანი.*

** * **

*გოდოგანში პარტიული კომიტეტის მდივანს დედა გარდაეცვალა. წავედით, მივუსამძიმრეთ, მეორედაც წავედით, მივიტანეთ უამრავი მიხაკი, მაგრამ მისია ვერ შევასრულეთ, ვერ გადავეცით ოჯახის უფროსს დანაბარები—გასვენება ვიწრო წრეში ჩაეტარებინა. სიქთარვაში კი სოციალისტური შრომის გმირი გარდაიცვალა. სამჯერ მივედით პანაშვიდზე, მაგრამ სათქმელი ვერც აქ ვთქვით. ხელმძღვანელებიც არაფერს გვეკითხებოდნენ, მათთვისაც არ იყო მისაღები ასეთი მოთხოვნა.*

*ზომიერებას ვერ ვიცავდით, არ იყო სწორი 500-600 კაციანი სუფრები, მიკროფონიანი თამადები ათი მოადგილით, ყურძნის ნარჩენის არ გამოხდის მიზნით—საოტკე ქვაბის თავსახურის ჩამორთმევა.*

** * **

*ჩვენ უარი უნდა ვუთხრათ კანაფის მოყვანა—ექპორტირების შესახებ პარლამენტში შეტანილ კანონპროექტს, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას, ქირურგიულ ჩარევას და ქალის კაცად და კაცის ქალად „გადაკეთებას“. უარი ვუთხრათ რაც არაზნეობრივია და შუქი ავუნთოთ იაკობ გოგებაშვილის დედა ენას, აი-იას, გენიალურ მიგნებას ქართულ ანბანისას და უარი ვუთხრათ —არწივით, აკვარიუმით და აქლემით ანბანის დაწყებას, შევიტანოთ სახელმძღვანელოში და ზეპირად ვასწავლოთ მოზარდებს: ვეფხვი და მოყმე, სამშობლო ხევსურისა, გამზრდელი, სწავლა-მოსწავლეთა, ლაზარე, ღრმად შევასწავლოთ მათ საშობაო ამბავი, თინას ლეკური, ხევისბერი გოჩა, წიქარა, იავნანამ რა ჰქმნა და სხვა მრავალი პატრიოტული და აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოები, რომლებიც საბედნიეროდ მრავლად გვაქვს.*

** * **

*კარგი არაფერი მოაქვს ქართველი ქალების, დედების, ჩვენი ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული გოგო-ბიჭების ოჯახებიდან წასვლას, ბებია-ბაბუები თავს ევლებიან შვილიშვილებს, მაგრამ მათი „მისია“ სხვაა, ისინი შვილიშვილებს უნდა უყვებოდნენ ძველებურ ამბებს, განცდილს და გაგონილს, იმას, თუ როგორ სძლია სიკეთემ ბოროტებას, რათა გმირობისა და სიკეთეზე ფიქრში ჩაეძინოთ და გაეღვიძოთ ქვეყნის ხვალინდელ პატრონებს.*

*თანდათან იკარგება ადამიანთა ურთიერთობის ძვირფასი საშუალებები, დავიწყებას მიეცა ძველთაძველი სახალხო დღესასწაულები, რომლებიც გარკვეულწილად განაპირობებდნენ ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრებას, რომელიც აღსაზრდელებზეც ახდენდა გავლენას. გაჭირვება, რაც არ არის იშვიათი, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდებზე, ლუკმა-პურის შოვნისათვის „გადახვეწილი“ დედები, ან ორივე ერთად, მშობლები, შვილების აღზრდაზე სრულად ვეღარ ზრუნავენ, სანამ არ გამართლდება რუსთაველი—„მზე სწორად მოეფინების“ შესახებ, ეროვნულ გრძნობებს და პატრიოტიზმს ვერ გავაღვივებთ.*

### პატრიოტული და ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საკითხებზე გვესაუბრება თერჯოლის №1 საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი რუსუდან ბოგვერაძე

## სამშობლო— ჩვენი ბედისწერა

პატრიოტობა ქართველი კაცის თანდაყოლილი თვისებაა, მისი ორგანული, განუყრელი გრძნობაა. შემთხვევით როდი ბრძანებს დიდი გალაკტიონი:

„სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი,
მზის მხურვალება გარს რომ ავლია,
აი პირველი, აი პირველი,
რის სიყვარულიც მე მისწავლია“...

და სწორედ ეს „დედის ნანასთან ქვითინი მთისა, მას უმზადებდა მომავალ გმირსა“ (ილია).

დიახ, პატრიოტობა ქართველი ერის გენეტიკური თვისებაა, რადგან თავისი არსებობის ყველა ეტაპზე, დღევანდელობის ჩათვლით, მათ უხდებოდათ ბრძოლა მიწის ყოველი გოჯისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ეს უნიკალური თვისება შემდეგ ღვივდება და ფრთას ისხამს, ასაკობრივ ზრდასთან ერთად და ადამიანის არსებობის საზრისი ხდება.

სამშობლოს უანგარო სიყვარულის მაგალითს ბავშვი ოჯახში, თემში, ქვეყანაში უნდა ხედავდეს, ამ გრძნობას სკოლა უნდა აფოლადებდეს. პედაგოგისა და მოსწავლის ყველა აქტივობა, უპირველესად სამამულო უნარებს უნდა აყალიბებდეს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რამდენად აყალიბებს დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემა მოქალაქის პატრიოტად ჩამოყალიბებას! „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“...

როცა საკლასო ოთახში დგახარ და შენი აუდიტორია მომავალი საქართველოა, შენ სწორედ ის სარანგი უნდა იყო, ციხის ქონგურზე გადმომდგარი ქორული მზერით რომ აკვირდება გარემოს, ემანდ მტერი არ შემოგვეპაროსო.

ილიამ ერს უანდერძა: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავსო“.

მერე რით და როგორ ვაპოვნინოთ „სხვა ვარსკვლავი“ მომავალ თაობებს: დაუსრულებელი და ზედაპირული ექსპერიმენტებით, ერთმანეთის გამომრიცხავი რეფორმებით, დაუხვეწავი სასწავლო პროგრამებითა და იდეალურად დაუბალანსებელი სახელმძღვანელოთა სიჭრელით, სისტემაში დაგროვილი გადაუჭრელი პრობლემებით?

ახლა „სხვა ვარსკვლავი“ ახალგაზრდებისათვის საზღვრებს მიღმა „ციმციმებს“. ჯერ დედების და შემდეგ უპერსპექტივობით გათანგული შვილების „სხვა გზა, სხვა ხსნა“ უცხო ქვეყნებია, ასე ბერდება და იშრიტება სამამულო ძარღვი და ენერგია. დიახ, ის გოგო-ბიჭები პატარაობაში რომ ასწავლიდნენ მშობლები „კავკასიის შვილი ვარ და განცხრომით სხვაგან ყოფნას მირჩევნია აქ სიკვდილიო“, სხვა აზრზე დგანან. 21-ე საუკუნეში გლობალიზაციის ეპოქაში რა დროს პატრიოტიზმიაო.

ისმენ ან სოციალურ ქსელებში კითხულობ, სისხლი გეყინება, რადგან ხვდები, რომ ქვეყანა თავზე გექცევა, შენ სალოცავ ხატს შეურაცხყოფენ.

იქნებ შორს დარჩა ის დრო, როცა ქართველს სალი კლდეების უკვდავების ხეზე, გინდათ სხვა ქვეყნის სამოთხეზე გაცვლა სიკვდილის ტოლფასად მიაჩნდა (რაფიელ ერითავი), იქნებ ის ნოსტალგიაც წარსულს ჩაბარდა, გული რომ დაუფერფლა ახალგაზრდა ემიგრანტს (ნიკო ლორთქიფანიძე), იქნებ ელი გორდელიანის სწრაფვაც ახირებად მოიაზრება? იქნებ, „მიწის ყივილიც“ ჯავახიშვილის ფანტაზიის ნაყოფია და მავთულხლართის გადაღმა საკუთარ მიწაზე მყარად და შეუპოვრად მდგარი დათა პაპას საქციელი მოხუცის ახირებაა? იქნებ კინოფილმ „ფესვებში“ წარმოჩენილი უკიდეგანო მონატრებაც ჰიპერბოლურად უნდა აღვიქვათ.

ენგურის დინებას გაყოლილ სულებს რა პასუხს ვაძლევთ?

ამ წუთიერ სამყოფელში, თვალის ამ ერთ გახელაში ღმერთი ადამიანს თავის ენერგიას აგრძნობინებს და ისიც, თუ რიგიანი მოქალაქეა, თავის თავში სამშობლოს მსახურს აღმოაჩენს.

დღევანდელი საქართველო სოციალურად ჭრელია: თვითკმაყოფილი, უკმაყოფილო, პატრიოტი, კოსმოპოლიტი, პოლიტიკოსი თუ ინტელიგენტი ეროვნულ სატკივარს ასევე ჭრელად იაზრებს. საქვეყნო ჭკუა -გონებასა და ენერგიას ერთმანეთთან დაპირისპირებაში ვატარებთ, ღმერთის სახელით მოყვასს ვებრძვით და გვავიწყდება უმთავრესი და უზენაესი: „ნაქარალი და ნაქორალი საქართველო“, რომლის თავზეც კვლავაც „ყვავ-ყორნები“ ტრიალებენ...

ჩვენში ხომ ყველა მართალია...

„ჩვენ ყველგან ვცხოვრობთ, აწმყოს გარდა, ყოველთვის „გუშინ“ არა გვიშავს ახლა და ამ წუთს ჩვენ ყოველთვის გვიჭირს და ეს „ვერმიხვდომის“ გამოა. სწორედ ამიტომ, საქართველოს „ვერმიხვდომილთა“ რესპუბლიკა უნდა ერქვას“ (გია მურღულია).

იქნებ მეტად დავფიქრდეთ გამორჩეული ქართველის, დიდებული მწერლის ოტია იოსელიანის სიტყვებზე: „სამშობლოს სიყვარულზე არ უნდა ვლაპარაკობდეთ, სამშობლოს სიყვარულს უნდა ვქმნიდეთ...

ყოველმა ახალგაზრდამ არჩევანი იმაზე უნდა შეაჩეროს, რაც მის ქვეყანას წაადგება და ამაში მას ოჯახი, სკოლა და საზოგადოება უნდა დაეხმაროს. მწერლის შეგონებით: „თუ ქვეყანას ციხე-გალავანი აქვს ასაშენებელი, უსათუოდ კირითხუროდ სჭირდები, თუ ხალხი რწმენადაკარგულია, ეკლესია-მონასტრები უნდა ააგო, თუ მშიერია—ოფლითა შენითა მოიწიო პური არსობისა“...,

მშობლის, დედმამიშვილის, ნათესავ-მეგობრების სიყვარული გადაუხდელი ვალია, მაგრამ რაც სამშობლოს სიყვარულს გადარჩება, ის უნდა გაუნაწილო...

იცოდე!

თუ ქვეყნის ციხე-გალავანი დანგრეული გაქვს და შენს ბუნაგს იშენებ, მტრისათვის აშენებ...

და კიდევ, ქვეყნიდან გასაქცევად გამზადებული ქართველების გასაგონად ბრძანებს მწერალი: „ღმერთმა შენ შენი სამშობლოს შვილად გაგაჩინა და სხვებისთვის რომ სდომებოდი, იმ ქვეყანაში მიგავლენდა, როგორც დედას, ასევე ვერც სამშობლოს აირჩევ“...

მომავალ თაობას კი სჭირდება სიტყვით და საქმით დარწმუნება იმაში, რომ ქვეყნის ციხე-გალავანიც ასაშენებელი გვაქვს, ეკლესია-მონასტრებიც, წუღა-ჩუსტებიც საგვირისტო და ნაბდის ქუდებიც—მოსათელი.

*გაივლის წლები, ეროვნული და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ფასეულობებს დათა ვანიშვილის ცხოვრებისა და გარდაცვალების გამო განვითარებული მოვლენები შეემატება და მოვყვებით, როგორ დარჩა დათა პაპა მავთულხლართების იქითა მხარეს, რომ იგი იყო ძლიერი, უშიშარი, არ მიატოვა ძირძველი მიწა, წინაპართა საფლავები, იქ ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად, იქიდან ისმენდა საქართველოს გულისცემას.*

*წავიდა დათა პაპა და დარჩა შთამომავლობა აქეთ, ღირსეული მეუღლე იქეთ, პატრიოტი და „ჯიუტი ქალი, რომელმაც უარი თქვა შვილებთან ცხოვრებაზე და სიმშვიდეზე...*

*დათა პაპას გარდაცვალების დღეს მავთულხლართებს მიადგა ასეულობით ადამიანი, რომლებმაც მრავლად მიიტანეს გვირგვინები და ყვავილები, ეკლიან მავთულებზე ჩაამაგრეს ხასხასა მიხაკები...*

*ესაა პატრიოტიზმი, ეროვნული სული და ადათ-წესების პატივისცემა. გაივლის წლები და ამ პატარა, მაგრამ დიდ ამბავს ეს თაობა მომავალს მოუყვება, როგორც ქვეყნის, საკუთარი მიწის სიყვარულის საუკეთესო მაგალითს, მოვუყვებით უმცროს თაობას 9 აპრილის ტრაგედიაზე, თავისუფლების დასაწყისზე, მათზე, ვინც მსოფლიო დონის ასპარეზზე იმარჯვებს, ჩამოაქვთ მედლები, არახმაშეწყობილად, მაგრამ გულით და სიყვარულით მღერიან საქართველოს ჰიმნს, მათ და ერის საპატივცემულოდ აღიმართება—საქართველოს ეროვნული დროშა.*

*ესაა ქართველობა!*

ჟუჟუნა ცხადაძე

## ნიკოლოზ ვერულაშვილი - 75

ნიკოლოზ ვერულაშვილმა დამსახურებულად დაიმკვიდრა სახელი იმ თერჯოლელთა შორის, რომლებიც ხალხის სიყვარულით სარგებლობენ. იგი ყველა საქმეში ბოლომდე იხარჯება, არის ერთგული მეგობარი და სანდო თანამშრომელი, სითბოთი სავსე კაცი.

2021 წლის 22 მაისს მას 75 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ ამ თარიღს, ვუსურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობას, სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.

**მეგობრების სახელით:**
**გურამ კუპატაძე, გოჩა ბუცხრიკიძე**

## კარგი სიტყვა კარგ ადამიანებზე
# ამირან და ვაჟნი მისნი...

სოფლებში ჯერ კიდევ არიან შემორჩენილნი კარგი მეურნენი. ესენი უფრო „ძველგაზრდები“ არიან, თორემ ახალგაზრდებს უცხოეთში წასასვლელად უჭირავთ თვალი და როდის ჩაალაგებენ ჩემოდანს კაცმა არ იცის. წასულებზე აღარაფერს ვამბობ.

ოჯახს, რომელზეც გვინდა მოგითხროთ, ჯერჯერობით ყველა შრომისუნარიანი წევრი ადგილზე ჰყავს და ისე ნიჭიერად უდგებიან საქმეს, გამორიცხულია ფუძე-კერა მიატოვონ. შეძლებული კომლიაო ამბობენ ზედა ალისუბნელ ამირან დიაკონიძის ოჯახზე, საათივით აქვთ აწყობილი საქმე და შედეგსაც აღწევენ.

მგლებივით ბიჭები უდგანან გვერდში, თორემ რას გააკეთებდაო, ახლა მარტო მამები რომ დარჩნენ სახლში და შვილები უცხოეთში გადაიკარგნენ მიტომაა ამდენი საკარმიდამო დაუმუშავებელიო—ასკვნიან მეორენი.

მაგისმა შვილებმა თბილისის გზა არ იცოდნენ, ან უცხოეთში წასვლა გაუჭირდებოდათ, მაგრამ შრომაში გაზარდა სამივე ვაჟი, დამოუკიდებლად ცხოვრება ასწავლათ და აღარ გაუხდათ გასაქცევად საქმე. ამიტომაა, რომ ახარებს თავისი ჯალაბი და მონაგარი, ის ოჯახი რა ოჯახია წელიწადში ერთხელ რომ ვერ მოიყრიან თავს ოჯახის წევრებიო.

მქონდა საშუალება ახლოს გავცნობოდი ამირანს და მის ვაჟებს. საქმეშიც მენახა თითოეული და სუფრასთანაც.

როცა დასაქმება პრობლემა არ იყო, მეუბნება ამირანი, მეც და ჩემი მეუღლეც ვმსახურობდით. მერე, როცა ცნობილ მიზეზთა გამო, ყველაფერი ყირამალა დადგა ქვეყანაში და სოციალური შეჭირვება მოურჩენელ სენად იქცა, ორივემ მკლავები დავიკაპიწეთ და სოფლის მეურნეობას მივხედეთ. სიმართლე გითხრათ თავიდან გაგვიჭირდა, საკუთარი ტექნიკა არ გვქონდა. მინი ტექნიკა გვაქვს მხედველობაში. ამას ისიც დაერთო, რომ ჩვენს უბანში მეწყერი განვითარდა, მამა-პაპისეული სახლი მეც და არაერთ ჩემს მეზობელსაც დაენგრა. ხელახლა გამიხდა ასაშენებელი ახალ ადგილას. მერე და მერე გამოსწორდა საქმე, შვილებიც წამომეწიენ და სწავლასთან ერთად შრომაში მეხმარებოდნენ.

დღეს უკვე თითოეული დამოუკიდებელი კომლია. მოძალებული სამუშაოების დროს ერთად ვართ, ხომ გაგიგონიათ მარტო კაცი ჭამაშიდაც ბრალიაო. ვახერხებთ გვალვასაც გავუმკლავდეთ და ჭირვეულ ამინდებსაც. მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვიც გვყავს და კრუხ-წიწილაც, დედა ღორები გვყავს იშვიათი ჯიშის, საიდან არ მოდიან, რომ გოჭი შევახვედრო გამოსაზრდელად, ისეთ ყველს ვამზადებთ სულ სარესტორნოდ და სახაჭაპურედ მიაქვთ.

ამ ათასგვარი პრობლემით გავსილ დროში თუ გინდა თავი გაიტანო მაგრად უნდა იშრომო. აი, ახლა გამოვედით ფართობიდან დილის 5 საათზე წასულები. ცხონებული ოტია იოსელიანი იტყოდა—თუ მზემ მიგასწრო ყანაში ის დღე გამცდარიაო. ნამდვილია ეს.

კარგი საქმე გაკეთდა თავის დროზე მიწების პრივატიზაციით. თანაც უფასოდ ხდება დარეგისტრირება. მახსოვს სოფელში დიდი და პატარა შრომობდა, სავსე იყო სოფელი გამრჯე ადამიანებით, მაგრამ მიწა არ ჰქონდათ და მიწას ნატრობდნენ. 0,25-0,50 იყო ნორმა. წელიწადში ათჯერ მაინც მოვიდოდნენ მოსაზომად ხომ არ მოიმატა ვინმემ რაღაც მეტრებიო. სამწუხაროდ, ახლა მიწა რამდენიც გინდა იმდენია, მაგრამ დამმუშავებელი აღარაა. გული მტკივა, რომ გავიხედავ და ამდენ გავერანებულ ადგილს ვხედავ. ამ საქმეს დროზე უნდა მიეხედოს, ვიდრე უცხო თესლი არ დაპატრონებია. მარტო მე და ათეული ჩემისთანა საქმეზე თავგადადებული ვერ გაამაგრებენ სოფელს.

როგორც ვთქვით სამი ერთმანეთზე უკეთესი შვილი ჰყავთ ამირან და მაგული დიაკონიძეებს. ზრდილი, თავაზიანი, გვერდში დამდგომები კუთხე-მეზობლისათვის. ტექნიკა უყვარს სამივეს, ვაჟასაც, შალვასაც და კობასაც, „პერმის“ ტიპის მინი ტრაქტორები კარგა ხანია უფრო ძლიერებით შეცვალეს, მათ შორის „ბელარუსიც“ არის. თავისას რომ მორჩებიან მეზობლებს ახვნევინებენ და ათესვინებენ ყანებს. მერედა ისე კარგად ამუშავებენ ნიადაგს უკეთესს ვერ ინატრებს კაცი. მადლიერი ჰყავთ ყველა. ამასთან, შუათანა ვაჟი შალვა, ქუთაისი-მაჩიტაურის ხაზზე მუშაობს საკუთარი სამარშრუტო ავტობუსით, უმცროსი კობა ასევე საკუთარი მინი ავტობუსით სკოლის მოსწავლეებს ატარებს. სამივენი დაქორწინებულნი არიან, ნამდვილი, ტრადიციული ქართული ოჯახები აქვთ, ცალ-ცალკე სახლებით და ეზო-ნიადაგით.

ისღა დაგვრჩენია წარმატებები ვუსურვოთ დიაკონიძეების დიდ ოჯახს.

ემრავლოთ სოფლის და ქვეყნის ასეთ მოამაგე ადამიანებს სრულიად საქართველოში.


## განცხადება

ხანდაზმულ ქალბატონს ქ. ბათუმში ესაჭიროება მომვლელი ბინაზე დარჩენით (გადატანილი აქვს ინსულტი). ანაზღაურება 500 ლარი.

საკონტაქტო პირი ირმა ტელ. 577 66 29 27


## ეს მოუწყინარი, მისი აღმატებულება ლობიო

ლობიოზე რომ არ თქმულა და დაწერილა ისეთი რა უნდა თქვას კაცმა, სერიოზულიც და სახუმაროც. მარტო ქართული მხატვრული ფილმი „ბატონი ავანტიურისტები“ რად ღირს განუმეორებელი მამუკა კიკალეიშვილის მონაწილეობით.

ერთ ამბავს მაინც მოგიყვებით თავგადახდენილიდან. ავტოქარხანაში ვმუშაობდი მთელი 5 წელი (იმ დროისათვის საწარმოში 15000-ზე მეტი კაცი იყო დასაქმებული). სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ტექნიკური ნაწილი გვებარა და ისეთი კარგი კოლექტივი იყო შეკრული ყოველი დღის გათენება და ერთმანეთის ნახვა გვიხაროდა. ხან კინოთეატრში დავდიოდით ერთად, ხან ექსკურსიებზე ბუნების წიაღში. ერთ დღეს დამიძახეს და მითხრეს, „ლობიოს საზოგადოებას“ ვაყალიბებთ, შეკრება გვაქვსო. მაშინ რაიმე საზოგადოებების და პარტიის შექმნა უცხო ხილი იყო, ამიტომ გამიკვირდა და ცნობისმოყვარეობით აღვსილი მივედი შეკრებაზე. წამოდგა საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და დაიწყო. საზოგადოების მიზანი ერთია, აგერ ხომ ახლოს ვართ ერთმანეთთან სამსახურში, მერე სახლში მივდივართ და ან ტელევიზორის ყურებაში გაგვყავს დრო, ან კინოთეატრში მივდივართ... მოდი გავამრავალფეროვნოთ თავისუფალი დრო, მორიგეობით, როცა კონკრეტულ მასპინძელს ამის საშუალება ექნება კვირაში იმ დროს წავიდეთ მასთან, ოჯახებსაც უფრო ახლოს გავეცნობით და დროსაც სასიამოვნოდ გავატარებთ სუფრასთან. ჩვენ იმერლებს ერთმანეთის თავისმოწონება გვიყვარს, ამიტომ განსხვავება რომ გამოვრიცხოთ, მტკიცედ უნდა იქნეს დაცული პრინციპი—სუფრასთან ყველასთან ერთნაირი მენიუ: თავი კერძი ლობიო, ცხელი მჭადი, ყველი, მწვანილი (პრასი აუცილებლად) და ზედ კარგი ღვინო თავისთავად იგულისხმებაო. ვყარეთ წილი და დავიწყეთ სტუმრობიადა. პირველად ერთი ორდენოსანი გამმართველი იყო სერგო კულუმბეგაშვილი, იმასთან მოვიყარეთ თავი. ისეთი კარგი ლობიო ჰქონდათ, რომელი კერძი შეედრებოდა, სულ თითებს ვიოლაკავდით (სხვათა შორის დანა-ჩანგალიც წესების მიხედვით არ უნდა ყოფილიყო სუფრაზე). სადღეგრძელოები ითქვა, ღვინოც ზომიერად შეისვა და ყოვლადწმინდაზე რომ მივედით დიასახლისმა ცხელ-ცხელი, დაბრაწული ხაჭაპურები ჩამოარიგა. უფიქრია მომჭრის ეს კაცი თავს, საპატივცემულო სტუმრები მარტო ლობიოთი როგორ უნდა გავისტუმროთო.

მეორედ ნადიმობა ტექნიკური ნაწილის უფროსთან ჭიჭიკო მაჩალაძესთან შედგა. აუხსნია მეუღლისათვის საქმის ვითარება. მერე თანამშრომლებს მარტო ლობიოთი ისტუმრებო? არ შეიძლება სხვა რამე, შენ კარგი ლობიო მოგვიმზადე, თანაც ბლომადო, უთქვამს ოჯახის უფროსს, მაგრამ ქალმა თუ გაიწია 9 უღელი ხარ-კამეჩი ვეღარ დააკავებსო ხომ გაგიგიათ და როდის გაჩნდა ცივად მოხარშული ვარიები მაგიდაზე არც გაგვიგია...

მესამედ გეგუთში წავედით ახალგაზრდა ელ. შემკეთებელ მამუკა მამისეიშვილთან. მასაც გაუცვნია მშობლებისათვის საქმის ვითარება. შენ შვილო, ის საპატივცემულო ხალხი მოიყვანე აქანა, დანარჩენი მე ვიციო და რაღა ბევრი გავაგრძელო დამჯდარი არ ვიყავით მაგიდასთან, თამადის წინ პირში წითელ ბოლოკ გაჩრილი გოჭის თავი რომ გაჩნდა, დახვავდა პურ-მარილი.

აჰ, თქვენი გამოსწორება არ იქნებაო, საზოგადოების დამფუძნებელმა, ახლა ეს როგორც არის ჩავამთავროთ და შემდეგ უყურეთ ისევ ტელევიზორს სახლში და იყავითო.

საბედნიეროდ გამოჩნდა გამოსავალი: ვერ გეტყვით თვითონ მოიფიქრეს თუ ჩვენმა იდეამ გაჟონა, ოპერის შენობის უკან, თეთრი ხიდის სიახლოვეს, სალობიე გახსნეს. სალობიე გახსნესო და მიაწყდა ხალხი, მარა რა მიაწყდა, დილის 11 საათიდან ღამის პირველ საათამდე გაჭედილი იყო.

იქ გავაგრძელეთ შემდეგი ტური. რაღას დავამატებდით, მარტო ლობიო იყო, მაგრამ ეს ცოტა ხანს. სასადილოში ნელ-ნელა გაჩნდა სხვა კერძები. ჯერ „გულიაში“, შემდეგ „ოსტრი“ და მალე მწვადიც შეიძლებოდა შეგეკვეთათ. „სალობიე“ მხოლოდ სახელადღა შერჩა.

ასეა ეს დალოცვილი ლობიო, თუ ოჯახში ადრეც და ახლაც, ყველა სიამოვნებით შეექცევა, ვერავის წარმოუდგენია სტუმარი მარტო მისით თუ შეიძლება გაისტუმროს. არ მინდა ვთქვა, რომ ეს ვინმეს ლობიოს უპატივცემულობით მოსდის, პირიქით ლობიო დაფასებული იყო ადრეც და მითუმეტეს ახლა, როცა სოციალურმა შეჭირვებამ ყველა ოჯახს მიუკაკუნა (ერთეულებს არ ვგულისხმობ).

ახლა იმაზე—თუ რატომ იყო და არის ლობიო დასაფასებელი: ლობიომ ადამიანები შიმშილისაგან იხსნა. მეორე მსოფლიო ომის 5 წლიანი გაჭირვება და შემდგომი მძიმე პერიოდიც ჩვენმა ხალხმა ლობიოთი და მჭადით გადაიტანა. ლობიო მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული მცენარეა. მას საკვებად უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. პერუსა და მექსიკაში ლობიო ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 5000 წლით ადრე მოჰყავდათ. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ ლობიო, ევროპაში შეიტანეს და მისი გაშენება დაიწყეს. ცნობილია ლობიოს 200-მდე ჯიში. ყველაზე დიდი რაოდენობით იგი ჩინეთში, ინდოეთში, ბრაზილიასა და აშშ-ში მოჰყავთ. საკვებად მთელ მსოფლიოში გამოყენებულია სამხრეთ ამერიკული ანუ ჩვეულებრივი ლობიოს სხვადასხვა ჯიში.

საქართველოში გავრცელებულია ლობიოს შემდეგი ჯიშები: ჩიტიკვერცხა—იგივე გურულა, წითელჭიპა, მერცხალა, მინდვრის, შულავერული, ბათუმელა, წითელი ადგილობრივი და ა.შ. სამწუხაროდ, გვალვების შემოტევის გამო იმერეთში, მათ შორის ჩვენს რაიონში, ლობიოს მოყვანა ძალიან შემცირდა, რადგან იგი ყველაზე არაგვალვა გამძლე მცენარეა და როგორც სხვა არაერთ პროდუქტზე, მასზეც, უცხოეთიდან შემოტანილზე ვართ.

ახლა კვებითი ღირებულების თვალსაზრისით: გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ლობიო ცილოვანი პროდუქტია, 20-30% ცილას შეიცავს. 100 გრამი ლობიოს თესლის ენერგეტიკული ღირებულება 355 კილოკალორიაა. სპეციალისტებიც აღიარებენ, რომ ის ხორცის ანალოგია, ოღონდ მცენარეული წარმოშობის. მედიკოსების აზრით ლობიო ამაგრებს კუნთოვან და ძვლოვან ქსოვილებს, აუმჯობესებს ტვინის მუშაობას, ხოლო უჯრედებს ჟანგბადით ამდიდრებს. ადვილად შესათვისებელი ცილების რაოდენობით ის არსებით კონკურენციას უწევს საქონლისა და თევზის ხორცს, ხოლო ქათმისას კიდეც აღემატება. ნახშირწყლების წილი ლობიოში 50-55%-ს შეადგენს, ხოლო ცხიმებისა—2-3,5%-მდე. ლობიო ცილების, რკინის, კალიუმის, მაგნიუმის, ფოსფორისა და თუთიის უშრეტი წყაროა. კვებით ღირებულებასთან ერთად აქვს გამაჯანსაღებელი თვისებებიც—მონაწილეობს მარილების ცვლაში, ამშვიდებს ნერვიულ სისტემას და სტრესის მიმართ გამძლეობას აძლიერებს. ცილოვანი სტრუქტურის მეშვეობით არეგულირებს ჰორმონალურ ფონს და მხედველობას აუმჯობესებს. ლობიო ხელს უშლის კბილებზე ქვების წარმოქმნას—ამას კალციუმის, ფოსფორისა და კალიუმის მეშვეობით ახერხებს, ორგანიზმიდან ტოქსინები გამოჰყავს, იმუნიტეტსაც აძლიერებს და ხელს უშლის ანემიის განვითარებას. ლობიოში გაცილებით მეტი C ვიტამინია, ვიდრე გარგარსა და ქლიავში.

მდიდარი ქიმიური შემადგენლობის გამო ლობიოს იყენებენ ხალხურ მედიცინაში, კოსმეტოლოგიასა და დიეტოთერაპიაში...

აი, ასეთია ეს დალოცვილი, მისი აღმატებულება ლობიო. ცოტა კი გაძვირდა კაი გვარიანად, მაგრამ ფაქტია, რომ დიდად შესარგია და გროშებსაც დაგიზოგავთ ოჯახში.

**გვერდის ავტორი**
**ი. ერაძე**

# იაკობ გოგებაშვილს ძეგლს დაუდგამენ

***მედიაში გაჟღერდა თბილისის მერის კახი კალაძისა და საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი ტყემალაძის სულისკვეთება იაკობ გოგებაშვილის ძეგლის დადგმის შესახებ. გამეხარდა და როგორ.***

***სიმართლე გითხრათ არც კი ვიცოდი თუ „დედაენის“ შემოქმედს ძეგლი არ ჰქონდა, არადა, დედაქალაქში, ძეგლები აქვთ ჰეიდარ ალიევს და როლანდ რეიგანს. აღარაფერს ვამბობ ორ საჭიან ველოსიპედზე...(სამივე წინა ხელისუფლების ზეობის ხანაში დაიდგა).***

***თუ როგორმე შეიძლება გაამართლო ეს რეალობა, მხოლოდ იმით, რომ დიდმა იაკობმა თავად დაუდგა ხელთუქმნელი ძეგლი თავის თავს, შექმნა სახელმძღვანელო „დედაენა“!***

რა არის დედაენა ქართველებისათვის—ამაზე ბევრი თქმულა, ბევრიც დაწერილა. ჩვენი მოკრძალებული კალმით გვერდი მივუძღვენით პირველი აპრილის ნომერში ქართული ენის დღეს (ისე როგორც ყოველთვის).

სათაურში, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, კი კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ მკითხველებს თუ რა არის გოგებაშვილის „დედაენა“ ერისათვის, რატომ უნდა ვცემდეთ მას თაყვანს, რატომ უნდა ვიყოთ მადლიერნი მისი ავტორისა.

გთავაზობთ ამონარიდებს ნო-

დარ დუმბაძის წერილიდან „ჩვენი საუნჯე“: „როცა რუსთაველის, ილიას, აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონის და გოგლას ღვთაებრივ ლექსებს ვკითხულობ, გასაკვირია, მაგრამ მუდამ ლადო ასათიანის ერთი უბრალო ლექსის სტრიქონი მაგონდება:

„კავკასიის მთებში გაგაჩინა ზენამ,

ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ“.

ხოლო როდესაც საქართველოს ისტორიასა და ქართლის ცხოვრებას ვკითხულობ და ქართულ ტაძართა ნანგრევებზე საჭრეთლით ამოქარგულ ჩუქურთმებსა და ასოებს ვეჭიდები წასაკითხად, ირაკლი აბაშიძის დიდებული ლექსი მაგონდება:

„ქვესკნელში მძრომო, ცაში მჭვრეტელო,

ხან ფუნჯო ჩემო, ხან-საჭრეთელო,

შენ, აკვნის ჰიმნო, ცრემლო სამარის...

იბერის ენავ, ენავ თამარის...

შენ ნიჭო ჩემო, სრბოლავ და ფრენავ,

დედაო ენავ, დედაო ენავ!“

დედაენას კი, რაკი დედა ჰქვია, მახსოვრობა აღარ სჭირდება, თუ კაცი ხარ და არა პირუტყვი—ენა დედაა შენი და მუდამ უნდა გახსოვდეს, უნდა უკვდავყო იგი, როგორც შეგიძლია და რითაც შეგიძლია.

...მაგრამ ენა, რაც უნდა ლამაზი და მდიდარი იყოს, პატრონი თუ არ ეყოლა, შეიძლება მოკვდეს და გაქრეს.

ეს ჩვენზე კარგად იცოდნენ, შორეულ წარსულს რომ თავი დავანებოთ, მეცხრამეტე საუკუნის დიდმა განმანათლებლებმა—ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, იაკობმა, ისიც იცოდნენ, რომ ენას ერთი მუჭა განსწავლული ადამიანი ვერ დაიცავდა, ვერ შეინახავდა. ამიტომ მათ იგი ერის, ხალხის საკუთრებად აქციეს, უფრო სწორად, მათ ხალხს წიგნი აჩუქეს თავიანთ ენაზე დაწერილი, თავიანთი ფიქრით, სიხარულით, თავიანთი ტკივილებითა და ოცნებებით სავსე, წიგნი, რომელიც შემდგომ ქართველი ხალხის ხმალიც, გუთანიც, ნამგალიცა და ვენახიც გახდა.

...1876 წელს დიდმა იაკობმა შეადგინა და გამოსცა ქართული „დედაენა“, ცხოველი სული შთაბერა მას, ფეხი აადგმევინა და შარა-შარა, შუკა-შუკა, ღობე-ღობე, ბილიკ-ბილიკ, ოდა-ოდა, სოფელ-სოფელ გაუშვა საქართველოში. დღეს, კაცმა რომ თქვას, ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, იაკობმა და სხვა მათმა თანამოაზრეებმა ქართული ენა დაკნინებას და მოსპობას გადაარჩინეს. ვინმეს შეიძლება კიდევაც გაუკვირდეს, არადა, ნათქვამი მცირეა—გადაარჩინეს კი არა, მეორე სიცოცხლე აჩუქეს მას.

განუზომელია გოგებაშვილის „დედაენის“ მნიშვნელობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ციცერონი ამბობდა: „უმეცრება ღამეა გონებისა, ღამე კუნაპეტი, უმთვარო და უვარსკვლავო“.

„დედაენა“ ნათელი გახდა ქართველებისათვის ამ ღამეში.

შექსპირი ამბობდა, სამეფო გვირგვინზე ძვირფასია ჩემთვის წიგნებიო. სამეფო გვირგვინად დაედგა ქართველებს „დედაენა“.

ხალხი ამბობს: უწიგნო სახლი და უფანჯრებო ერთია, ორივეში ერთნაირად ბნელაო.

ფანჯარად იქცა „დედაენა“ ყველა ქართველის სახლში და მე არ მიკვირს, როდესაც დღეს ჩემი ქვეყანა, 100 წლის იუბილეს უხდის წიგნს. ორი წიგნი ვიცი მე საქართველოში, რომელსაც შეიძლება იუბილე გადაუხადო.

ეს არის „ვეფხისტყაოსანი“ და „დედაენა“, რადგან ეს ის წიგნები არ გახლავთ, ეს ორი წიგნი—ერია.

აუწონელი და ფასდაუდებელი განძი დევს „დედაენაში“—ამ პატარა წიგნში, მაგრამ გასაოცარი ეს კი არ არის, გასაოცარი ის გახლავთ, რომ ამ საგანძურს, წინააღმდეგ მსოფლიოში არსებული ყველა კანონისა, მსოფლიოში ყველაზე უმარტივესი, ყველასათვის ხელმისაწვდომი, სულ ორი ხმოვანისაგან შემდგარი და ჩამოსხმული ულამაზესი ოქროს გასაღები ადევს—ია.

ამ გასაღებით ყველას შეუძლია ისარგებლოს, გახსნას ეს დიდებული სკივრი და მიისაკუთროს თვალმარგალიტი, რომელიც შიგ აწყვია. ამით ჩვენს „დედაენას“ არაფერი დააკლდება, რადგან ეს სიკეთე ულევია შიგ.

აკი აწერია კიდეც თავფურცელზე:

აი-ია...

მობრძანდით, აიღეთ, გახსენით ეს სიბრძნის სალარო და იგი თქვენია...

...ჩემი აზრით ყველა ქართველი მოვალეა მუხლი მოიყაროს „დედაენის“ წინაშე და ხმამაღლა შეღაღადოს:

—გმადლობთ „დედაენავ“!

**ი. ერაძე**

# მედიაწიგნიერების პროექტში რეგიონული მედიის წარმომადგენლები ჩაერთვნენ

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით ჩეხური ორგანიზაცია People In Need კიდევ ერთ საინტერესო, მნიშვნელოვან და მრავალფეროვან პროექტს ახორციელებს. „დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით“—ასე ჰქვია პროექტს, რომლის მიზანია რეგიონებში ახალგაზრდული დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების და ქართველ ახალგაზრდებში მედია წიგნიერების უნარების, კრიტიკული აზროვნების გაზრდა, რათა მათ შეძლონ აქტიურად შეუწყონ ხელი საკუთარ თემში დემოკრატიულ პროცესებს.

ერთწლიანი პროექტი იმერეთის და სამეგრელოს რეგიონებში მიმდინარეობს და ბენეფიციარები ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციები, მუნიციპალური

ახალგაზრდული ცენტრები, რეგიონის მედიასაშუალებები, პედაგოგები, ადგილობრივი ახალგაზრდები არიან. თერჯოლაში პროექტის პარტნიორი მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი გახლავთ. პროექტით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობებიდან ერთ-ერთი გულისხმობდა სამიზნე რეგიონებში ადგილობრივი მედიასაშუალებების წარმომადგენლების ინფორმირებულობის ამაღლებას მედიაწიგნიერების მიმართულებით. კონკურსის ფარგლებში შეირჩა 12 მედიის (იმერეთი, სამეგრელო, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი) წარმომადგენელი, რომლებმაც სამდღიანი ტრენინგები გაიარეს. სწავლების პროცესი მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. კვალიფიციურმა ტრენერებმა მედია წიგნიერებისა და დეზინფორმაციასთან ბრძოლის საკითხები სიღრმისეულად გაშალეს. საინტერესო იყო მოხსენებები საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის; საქართველოში ანტიდასავლური პროპაგანდის და უმცირესობების ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე; პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა დისკუსია გამართა თემაზე: მითები და საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობა.

თბილისში გამართულ შეხვედრაზე პროექტის მნიშვნელობასა და მიზნებზე, მოსალოდნელ შედეგებზე, ცვლილებებზე, გეგმებზე ისაუბრეს: დიონ ბატერსბმა-საქართველოს მისიის ხელმძღვანელი, ფიფლ ინ ნეედ; იან ჩერნიკმა-ჩეხეთის განვითარების პროგრამების ხელმძღვანელი, ჩეხეთის საელჩო საქართველოში; გიორგი ჯანგიანმა-კონსორციუმის ხელმძღვანელი, ფიფლ ინ ნეედ.

ტრენინგის დასასრულს, პროექტის მენეჯერმა ანა ქოჩუამ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ძირითადი აქტივობები განმარტა: „აღნიშნული პროექტისთვის შექმნილი დოკუმენტური ფილმების ჩვენება მაისის ბოლოს სრულდება. ფილმების განხილვის პროცესს სპეციალური მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მეშვეობით ფასილიტატორები თავიანთ სამიზნე ჯგუფებთან წარმართავენ. ამის შემდეგ ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებმა მენტორობა უნდა გაუწიონ ამ ახალგაზრდებს, რათა მათ ერთად დაგეგმონ და განახორციელონ ინოვაციური მცირე მედიაპროექტები, რომლებიც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე, საზოგადოებაში, მედიაწიგნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. საბოლოოდ პროექტმა ადგილობრივ რეგიონში, თემში სასარგებლო ცვლილებები უნდა გამოიწვიოს“.

**ნათია გამყრელიძე**

# წერილები რედაქციას

***ამ დღეებში რედაქციაში წერილი მივიღეთ, ზედა ალისუბნის მალხაზ ბუცხრიკიძის სახელობის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე ანანო ქურციკიძისაგან. გაგვეხარდა და როგორ, ბოლო პერიოდში, კორონას შემოტევის გამო, არც ისე განებივრებულნი ვართ საჯარო სკოლებიდან მოსწავლეთა წერილებით.***

***მართალია, წერილის ტექსტი არაა დაზღვეული ხარვეზებისაგან, მასში დაყენებული საკითხიც მთლიანობაში, დღევანდელ პანდემიისაგან გართულებულ ვითარებაში, შეიძლება შეუძლებლად მოგეჩვენოთ, თუმცა მთავარში კი უნდა დავეთანხმოთ ავტორს—ისტორიული ძეგლი, სკანდას ციხე-ციტადელი მეტ ყურადღებას საჭიროებს და თუ ვერ აღსდგება, ის მაინც უნდა მოხერხდეს, კონსერვაცია ჩაუტარდეს, რათა მეტად აღარ დაინგრეს და დაზიანდეს.***

***აქვე გვინდა მადლობა გადავუხადოთ ანანოს რედაქციისადმი თბილი, გულისხმიერი დამოკიდებულებისა და იმისათვის, რომ იგი ჩვენი გაზეთის აქტიური მკითხველი ყოფილა. ეჭვი არ გვეპარება მომავალშიც ითანამშრომლებს რედაქციასთან და მოგვაწვდის საინტერესო პუბლიკაციებს.***

## „სკანდას ციხე“

მადლობა გაზეთ „თერჯოლის“ რედაქტორს და კორესპონდენტებს—თითქმის ყველა გაზეთში იწერება რაიონის ცხოვრების საინტერესო საკითხები. გიგზავნით წერილს ჩვენი უძველესი, უნიკალური ისტორიული ძეგლის „სკანდას ციხის“ შესახებ. დიდი ქართველი მეცნიერის, მკვლევარის, სიმონ ჯანაშიას თქმით, ეს ციხე აუშენებიათ IV საუკუნეში ეგრისის

სამეფო ხელისუფლებას. იმ დროისათვის „სკანდას ციხე“ ყველაზე მაგარი ციხესიმაგრე იყო. მას მიუდგომელ ციხეს უწოდებდნენ. ციხე ქ. თერჯოლიდან 12 კმ არის მოშორებული. აგებულია მაღალ გორაკზე, მის ირგვლივ ხრამები და პატარ-პატარა ბორცვებია. ციხე რაც ზევით იყო, იმდენივე მიწაში იყო ჩაშენებული და მოტნეული. შემოსაზღვრული იყო ქვის გალავნით, ციხის შიგნით იდგა წმინდა გიორგის ეკლესია. ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით აქვე იყო „სასახლე მეფეთა“, რომელიც შედგებოდა მრავალი დარბაზისა და ლამაზად მოწყობილი ოთახებისაგან, სადაც ინახებოდა სამეფო განძი. ციხეს ჰქონდა სათვალთვალო კოშკები, საიდანაც იწყებოდა გვირაბი, რომლის სიგრძე 100 მეტრი იყო. აქვე მოდიოდა პატარა მდინარე, საიდანაც წყალი ისე ამოქონდათ გვირაბის დახმარებით, მტერი ვერ დაინახავდა.

ისტორიულ წყაროებში, პროკოპი კესარიელის თქმით: იბერიის საზღვართან ორი ციხეა, სკანდა და სარაპანისი. ისინი მდებარეობენ მკაცრსა და მეტად ძნელად სავალ ადგილას. სწორედ იმ პერიოდში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გამყოფი ეს ორი ციხე, სკანდა და შორაპანი ყოფილა. სკანდას ციხემ მრავალ შემოსევას გაუძლო. მტერმა ირანმა იგი უომრად ჩაიგდო ხელში, მაგრამ სურსათის უქონლობის გამო მალევე დატოვა, შემდეგ ეგრისის ხელისუფლებამ ციხე დაანგრია, თუმცა ირან-ბიზანტიის ომის განახლებისას, 540 წელს აღადგინეს და 562 წლამდე ეპყრათ. ამის შემდეგ ციხის ისტორია უცნობია. მე-15 საუკუნიდან იგი მოხსენებულია, როგორც სამეფო ციხე-დარბაზი, 1590 წელს ეკავა ქართლის მეფე სიმონ I-ს.

XVIII საუკუნეში ციხე იმერეთის სამეფოს საიმედო სიმაგრე იყო. შემდგომ ხანებში კი მან დაკარგა ადრინდელი მნიშვნელობა. ახლა ციხე-ციტადელის ნაწილიღაა შემორჩენილი, მაგრამ რაც არის ნათლად ღაღადებს გარდასულ დღეთა სიდიადეზე.

რამდენი რამის მომსწრეა სკანდას ციხე და მე როგორც ამ რაიონის მკვიდრს, მსურს აღდგეს ეს უნიკალური ისტორიული ძეგლი. მინდა გაიხსნას ფონდი „სკანდას ციხის“ აღსადგენად. მოვუწოდოთ რაიონის ბიზნესმენებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, გამოვიჩინოთ გულისხმიერება და სამი წლის განმავლობაში მოვახდინოთ თანხის შეგროვება, რათა აღვადგინოთ რაიონის ისტორიული ძეგლი „სკანდას ციხე“. დავაინტერესოთ ამით საქართველოს მცხოვრებლები, რადგან სწორედ ჩვენი თანადგომა სჭირდება, ამ საშვილიშვილო საქმეს.

**პატივისცემით,**
**ზედა ალისუბნის მალხაზ ბუცხრიკიძის სახელობის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე ანანო ქურციკიძე**

# „ითამაშეთ და მოიგეთ“—ანუ შემთხვევა როცა...

***არასრულწლოვანები აზარტულ თამაშში ვეღარ ჩაერთვებიან, ფინანსთა მინისტრის, ცოტა ხნის წინ გამოცემული ბრძანებულების მიხედვით, პირს მოთამაშედ რეგისტრაციისათვის ვერიფიკაციის გავლა მოუწევს, რაც პირადობით და პირადი მობილურის ნომრით უნდა დაადასტურონ. იმედია, ეს დოკუმენტი გარკვეულწილად დაარეგულირებს პროცესებს, რომლის დროსაც არასრულწლოვანს აქვთ წვდომა აზარტულ თამაშებთან, რომელსაც არასასურველი შედეგები შეიძლება არა მხოლოდ ამ ეტაპზე მოჰყვეს, მათი მომავალი ცხოვრებისთვისაც კი სასტიკ ბედისწერადაც იქცეს...***

## აზარტული თამაშები და მისი არასასურველი შედეგები

აზარტული თამაშები ეს არის თამაში, რომელსაც ფულზე თამაშობენ და რომელშიც მოგება თუ წაგება შემთხვევითობის პრინციპს ექვემდებარება.

აზარტული თამაშების იდეა, ადვილად გამდიდრებაა, ის ადამიანს ფულის მოყვარულად აქცევს, რასაც ბიბლია „ყოველგვარი ბოროტების ფესვს უწოდებს“, რომელიც ადამიანში აღვივებს ეგოიზმს, ჯიბრსა და სიხარბეს, რასაც ღმერთი განსჯის (1-კორინთელთა 6.9.10).

სიღარიბე, უიმედობა, ჯანსაღი გართობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის არ არსებობა—ეს ყველაფერი ხელს უწყობს ერთი მხრივ, მაგიური აზროვნების განვითარებას, საოცრების მოლოდინს, ხოლო მეორე მხრივ უკიდურესად ღარიბი სინამდვილიდან გაქცევის გზების ძიებას, მათ შორის აზარტული თამაშით.

ასეთ შემთხვევაში ადამიანს ადვილად აცდუნებს ინდუსტრიის მარკეტინგული ხრიკი —„ითამაშე და მოიგე“.

აზარტული თამაშების, სლოტ-კლუბების და კაზინოების პოპულარიზაცია-რეკლამირება მასმედიით თუ სხვა საშუალებებით სულ უფრო აქტიურად მიმდინარეობს, რის გამოც სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ერთვება მასში.

აზარტულ თამაშზე დამოკიდებულებას რომ ბევრი უბედურება მოაქვს ეს საყოველთაოდაა ცნობილი, მათ შორის ქონების დაკარგვა, ოჯახის დანგრევა, სუიციდი. არაერთხელ გვსმენია საშინელი ისტორიები თავისი სიმძიმით და მკაცრი რეალობით, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, რა უბედურების მომტანია თამაშზე დამოკიდებულება, როგორც მოთამაშისათვის, ასევე მისი ოჯახის წევრისათვის.

აზარტულ თამაშზე დამოკიდებულება—21-ე საუკუნის ერთ-ერთი სენია, რომელიც თავისი მასშტაბით და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების დონით არაფრით ჩამოუვარდება ნარკომანიას, მეტიც, მას ნარკომანიის კლასიკური გამოვლინებები ახასიათებს, კერძოდ, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, რაც დროთა განმავლობაში აზარტული თამაშების მიმართ ავადმყოფურ ლტოლვას იწვევს.

საქართველოში აზარტული მოთამაშეების რაოდენობასა და მათ მიერ წაგებული თანხების შესახებ სტატისტიკა არ არსებობს, შესაბამისად შეუძლებელია შეფასდეს მაჩვენებელი—მაღალია თუ დაბალი. ზოგადად არ არსებობს სახელმწიფოს მიერ ჩატარებული რაიმე მნიშვნელოვანი კვლევა, რაც აზარტული თამაშებიდან მომდინარე რისკებს შეისწავლიდა და გამოავლენდა პრობლემის სიმძიმეს.

## არასრულწლოვანი და აზარტული თამაში

ყველაზე დიდი უარყოფითი სოციალური რისკი, რაც აზარტულ თამაშს ახლავს არის მასში არასრულწლოვანის ჩართულობა. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, 16-დან 24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების ჩამოყალიბების რისკი სხვა ასაკობრივ მაჩვენებლებთან შედარებით ორჯერ უფრო მაღალია. მიუხედავად იმისა, საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვანებს ეკრძალებათ ფულზე აზარტული თამაში, ონლაინ თამაშები მათ ამის საშუალებას აძლევს.

მიუხედავად იმისა, ვებ-გვერდზე რეგისტრაციისათვის ყველას მოეთხოვება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამოყენება, ამ პროცესში სერიოზული ხარვეზები მაინც არსებობს. თამაშში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა რეგისტრაციის მომენტში პირადობის მოწმობის მონაცემების შეყვანა, თუმცა მონაცემების სიზუსტის კონტროლის მექანიზმი სუსტია, ვებგვერდის დარეგისტრირება შესაძლებელია პირადი ნომრის ნებისმიერი თერთმეტნიშნა კომბინაციის შეყვანით, ასევე, რეგისტრაციის მომენტში პირს არ მოეთხოვება პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის ატვირთვა და არ ხდება მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის საჭირო მონაცემების გადამოწმება.

ბავშვების აზარტულ თამაშებში ჩართვა კიდევ უფრო მძიმე შედეგის მომტანი შეიძლება იყოს, ვიდრე უფროსი ასაკის ადამიანებისა. თუმცა, ორივე შემთხვევაში, რისკი იმისა, რომ ადამიანი გახდეს თამაშზე დამოკიდებული ნამდვილად არსებობს.

შეიძლება ადამიანი თამაშობდეს აზარტულ თამაშებს და არ იყოს მასზე დამოკიდებული. გადაიზრდება თუ არა პერიოდული თამაში აზარტულ თამაშზე დამოკიდებულებაში, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, დამოკიდებულია მთელ რიგ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე და ამ ფაქტორთა ურთიერთმოქმედებაზე. ამიტომ ადამიანმა, უმეტეს შემთხვევაში, არ იცის წინასწარ თუ რამდენად მოწყვლადია ის აზარტული თამაშების მიმართ. აქედან გამომდინარე, ყველაზე კარგი გამოსავალია თამაშისაგან თავის შეკავება და დროის გატარება სხვა, ბევრად უფრო კონსტრუქციული საშუალებების გამოყენებით.

სამწუხაროდ, რეკლამირება ყველგან, ყველა სივრცეში, ქუჩაში, ყველა მასმედიით, კომპიუტერით, ტრანსპორტით, ტელევიზიით და ა.შ. ქალაქებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე არსებული სათამაშო ავტომატები, სლოტ-კლუბები, კაზინოები და ა.შ. და ამას დამატებული ონლაინ ხელმისაწვდომობა და ყველაზე მთავარი, ინდუსტრიის მცდელობა—აცდუნოს და გააბრიყვოს მოსახლეობა დიდი ტყუილით, რომელიც აბსოლუტურად უმეტეს შემთხვევაში, თამაშისაგან დიდი სარგებლის მიღების ნაცვლად მოთამაშისათვის წაგებით მთავრდება.

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს მიერ ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, ფულზე აზარტულ თამაშებში ჩართული ადამიანების უმეტესობა გართობის მიზნით თამაშობს და უფრო მეტად აგებს, ვიდრე იგებს. გამოკითხულა 2% აცხადებს, რომ აზარტული თამაშების გამო მას ან მისი ოჯახის წევრს მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები ჰქონია. მიუხედავად იმისა, რომ 2 პროცენტი არც თუ დიდი მაჩვენებელია, მოსახლეობის ძალზე დიდ ნაწილს ანუ 92% მიაჩნია, რომ ის უნდა აიკრძალოს (63%) ან უნდა შეიზღუდოს (29%).

ყოველ შემთხვევაში აზარტული თამაშისადმი დამოკიდებულება ნამდვილად ზიანის მომტანია და აუცილებელი და საჭიროა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მიმართული იქნება საზოგადოების ინფორმირებისა და თამაშზე დამოკიდებულების პრევენციისაკენ, გარკვეული სახის შეზღუდვებია საჭირო რეკლამირებისას.

საზოგადოებაში აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს აზრი, რომ აზარტული თამაში არ არის გართობა ან ფულის შოვნის ადვილი გზა, რომ მას მძიმე და დამღუპველი შედეგი მოაქვს მისი ჯანმრთელობისათვის, ოჯახისათვის და ქვეყნისათვის. მოსახლეობა, არასრულწლოვანები უნდა იყოს ინფორმირებული თამაშთან დაკავშირებულ რისკებზე... თითოეულმა უნდა შეძლოს საკუთარი თავის კონტროლი და თვითშეგნება.

ადამიანებმა უნდა შეიგნონ, რომ ეს ის შემთხვევაა, როცა „წაგება და მოგება“ არ არიან ძმები...

იმის გათვალისწინებით, რომ აზარტული თამაშების ბიზნესი არის დაკავშირებული ტურიზმთან და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტთან, ძნელი წარმოსადგენია, რომ მოხდეს მათი აკრძალვა, თუმცა შესაძლებელია მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად გარკვეული ნაბიჯების გადადგმა, რათა დავიცვათ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა აზარტომანიისაგან.

და ვიდრე გვიან არ არის, მოვუწოდებთ სასწავლო დაწესებულებებს, მშობლებს, ოჯახებს, საზოგადოების თითოეულ წევრს ნუ გაყოფენ თავს „ყულფში“, საიდანაც თავის დაღწევა არც ისე იოლი იქნება...

**მზია ცქიფურიშვილი**

# კოვიდსაწინააღმდეგო რეგულაციები შემსუბუქდა...

უწყებათაშორისი საბჭოს გადაწყვეტილებით, 1-ლი ივნისიდან, სახმელეთო საზღვრები გაიხსნება და საზღვრის კვეთა შესაძლებელი იქნება სრული ვაქცინაციის დამადასტურებელი დოკუმენტით და PCR-ტესტის უარყოფითი პასუხით, ან მხოლოდ ბოლო 72 საათში

ჩატარებული PCR-ტესტის უარყოფითი პასუხით და ამ შემთხვევაში, ისინი ვალდებული იქნებიან, მესამე დღეს განმეორებით ჩაიტარონ PCR-ტესტირება,—აღნიშნული გადაწყვეტილებები უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მაისის თვის ბოლო სხდომაზე მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

გარდა ამისა, იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებს და რეზიდენტებს საქართველოს საზღვრის კვეთა ბოლო 72 საათში ჩატარებული PCR-ტესტის უარყოფითი პასუხით შეუძლიათ, ემატება კანადა, იაპონია, ქუვეითი, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, მოლდოვა, ომანი.

საქართველოში შემოსულ ვიზიტორებს მოეთხოვებათ ჯანმრთელობის დაზღვევა, შეძენილი თავიანთ ქვეყანაში, ან - საქართველოში.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ ეპიდემიოლოგიური ვითარების სტაბილიზაციის ტენდენცია შენარჩუნდება, 1-ლი ივნისიდან, კვების ობიექტებისთვის შაბათ-კვირას მოქმედი შეზღუდვა სრულად მოიხსნება, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ საშუალება ექნებათ, სტუმრები შაბათ-კვირას დახურულ სივრცეშიც მიიღონ.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ძალაში რჩება შეზღუდვა ისეთი სოციალური ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით, როგორიცაა ქორწილი, ქელეხი, ბანკეტი თუ სხვადასხვა სახის იუბილე.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, შეზღუდვების შემსუბუქებასთან მიმართებაში ინარჩუნებს თანმიმდევრულ და ფრთხილ მიდგომას, რათა ერთის მხრივ ხელი შეუწყოს ეკონომიკის აღდგენას და მეორეს მხრივ, თავიდან იქნას აცილებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება;

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მიმართავს მოქალაქეებს, დაიცვან მოქმედი რეგულაციები, ატარონ პირბადე და დაიცვან სოციალური დისტანცია, რაც, ვაქცინაციასთან ერთად, ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის კვლავ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებად რჩება.

# სასარგებლო თაოსნობა...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მაჟორიტარი დეპუტატის, მერაბ კვიცარიძის ინიციატივით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 16-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს ჩაუტარდათ საინფორმაციო ხასიათის ტრენინგი თემაზე „მენეჯმენტი“.

ახალგაზრდების თქმით აღნიშნული ტრენინგი ძალიან საინტე-

რესო და პროდუქტიული იყო, რადგან მიიღეს ის მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს მენეჯერული უნარების განვითარებასა და ჩამოყალიბებას.

შეხვედრაზე იმსჯელეს მენეჯმენტის ცნებაზე, როგორი უნდა იყოს კარგი მენეჯერი, სხვა ადამიანის შრომის, ინტელექტის, ქცევის მოტივების გამოყენების საფუძველზე.

ტრენინგ-კურსები იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართება. თითოეული ტრენინგის მიმდინარეობის დროს შერჩეული იქნება ყველაზე მაღალი შეფასების მქონე ერთი ახალგაზრდა (საბოლოოდ იმერეთის რეგიონიდან 12 ახალგაზრდა), რომლებიც მეორე ეტაპზე მსოფლიოში განვითარებული მდგომარეობის შესაბამისად, სწავლება-ტრენინგს გაივლიან თურქეთის რესპუბლიკაში ან საქართველოში.

აღნიშნული აქტივობა, მერაბ კვიცარიძის საკუთარი დაფინანსებითა და პატრონაჟით ხორციელდება, რისთვისაც დიდი მადლობა მას.

# დამოუკიდებლობის დღეს მიეძღვნა...

ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში 26 მაისის დღისადმი მიძღვნილი შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. მუსიკალური სკოლის კურსდამთავრებულებმა და მოსწავლეებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ გააცნეს ქართველ კომპოზიტორთა სხვადასხვა მუსიკალური კომპოზიციები.

კლასიკური მუსიკის კონცერტს მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი დაესწრო. ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა, ასევე მომავალი თაობის აღზრდისა და განვითარების საქმეში წარმატებები უსურვა.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, სოფიო ბუსკივაძე, ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო, განათლების, კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი, სოსო დევიძე და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ღონისძიებამ მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ახალთერჯოლელმა ახალგაზრდებმა საქართველოს თავდაცვის ძალების წარმომადგენლებთან ერთად 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ეროვნული დროშებით უნაგირას მთის წმ. გიორგის სალოცავზე (მე4 -საუკუნის ძეგლი, აღდგენილია 2018- 2019 წლებში, მოძღვარი მამა პავლე ბურჯანაძე. ზღვის დონიდან 870 მეტრი) ასვლით აღნიშნეს.

***თერჯოლის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლამ დამოუკიდებლობის დღეს ღონისძიებებით უხვად დატვირთული კვირეული მიუძღვნა.***

***გთავაზობთ ინფორმაციას ამ კვირეულის პირველ და მეორე დღეს ჩატარებულ ღონისძიებათა თაობაზე.***

მოგესალმებით და გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

მეორე საჯარო სკოლა წელს განსაკუთრებულად აღნიშნავდა დამოუკიდებლობის დღეს კვირეულის ფარგლებში.

დღე პირველი, რომელიც საქართველოს ჰიმნით დაიწყო, გაგრძელდა ეროვნული და თავისუფლების იდეით გამდიდრებული გაკვეთილებით.

აგრეთვე მოეწყო ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლის, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ვანო ხუხუნაიშვილის, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფილმის ჩვენება.

ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყო ლექსების, ესეების კონკურსები.

ჩატარდა გამოკითხვა, სადაც აქცენტი 26 მაისის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე იყო გაკეთებული.

* * *

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კვირეული (მეორე დღე).

დილა ისევ საქართველოს ჰიმნით დაიწყო.

სკოლაში გაიმართა ინტელექტუალური შეჯიბრება: „როგორ ვიცნობთ საქართველოს უახლეს ისტორიას?!“

მასში მონაწილეობდნენ მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასების გუნდები.

ინტელექტუალური შეჯიბრება დაძაბულად მიმდინარეობდა, გამარჯვებული გახდა თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის მეათე კლასის გუნდი, რომელიც დასახელდა საქართველოს უახლესი ისტორიის საუკეთესო მცოდნედ და წევრებს გადაეცათ დიპლომები.

აგრეთვე გამოვლინდა ლექსის კონკურსის გამარჯვებული, მეხუთე კლასის მოსწავლე, მარიამ კუბლაშვილი, რომელმაც წაიკითხა ამ დღისადმი დაწერილი საკუთარი ლექსი.

დამსწრე საზოგადოების აზრით გათვალისწინებით გადაწყდა, რომ ინტელექტუალური შეჯიბრება ჩატარდეს ყოველწლიურად და პრიზიც იყოს გარდამავალი.

სკოლის მოაზროვნეთა გუნდს (ხელმძღვანელი მარეხი მემანიშვილი) კი ეწოდოს ვანო ხუხუნაიშვილის სახელი.

# მიზანი—თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) წარმომადგენლებმა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართეს.

შეხვედრას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, მერიის თანამშრომლებთან და საკრებულოს წევრებთან ერთად დაესწრო.

„ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“ თერჯოლის მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს, „მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა ადგილობრივ  თვითმმართველობაში“. პროექტის მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა და ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა.

პროექტის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კვლევა COVID—19-ის შემდგომი საჭიროებების შესახებ, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ფოკუს-ჯგუფების ინტერვიუების მეთოდოლოგია.

შეხვედრაზე, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს აღმასრულებელმა დირექტორმა, ნინო ხუხუამ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების კვლევის შედეგები, გამოკვეთილი პრობლემები და შემუშავებული რეკომენდაციები წარმოადგინა.

შეხვედრის მონაწილეებმა არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების შესახებ საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს იმ საკითხებზე, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება.

პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა „გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის” მხარდაჭერით.

# თავმოსაწონი, მოსანახულებელი და საამოდ საამბობი...

ტურიზმის მოყვარულებს ყოველთვის მოუწევდათ და ახლაც მოუწევთ გული ჩვენი მხარისკენ. მრავალ უცხოელს გამოუხატავს აღტაცება ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების უნიკალურობითა და სიმრავლის გამო. სიამაყით ივსებით, როცა ეცნობით ჩხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ ტურისტთა ჩანაწერებს, თუმცა... სინანულის გრძნობაც გეუფლებათ, რომ ის კულტურული სიმდიდრე, რომელიც საიმერეთოს გაჰნია, დახურულ სკივრებში ინახება და არ შეუძლია პირბადეჩამოხსნილმა უამრავ მნახველს მოუთხროს ვინა ვართ, საიდან მოვდივართ... არადა, ბევრი რამ გვაქვს ნამდვილად თავმოსაწონი, მოსანახულებელი და საამოდ საამბობი...

ხელისუფალნი იცვლებიან, დაპირებები კი, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღირებულებებს საკუთარი საცხოვრებელი ექნებათ—დღემდე დაპირებებად რჩება.

იმედის კიალა კი, კი-ა-ფობს!

იმედი არ გვტოვებს.

ერთხელაც იქნება და წითელი ლენტი გაიჭრება.

ერთხელაც იქნება და ბატონი **ალექსანდრე** რკინის ქალამნებს გაიძრობს...

ღმერთმაც ინებოს...

* * *

წინამდებარე კროსვორდი კი ერთგვარად გვახედებს წარსულისაკენ... მომავლისათვის!

შეუჩერდით... გმადლობთ.

## კროსვორდი
## ეს ჩვენი ისტორიაა



1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ცენტრი. 2. V-XIII საუკუნის ციხესიმაგრე. 3. ისტორიული ქალაქი, სავაჭრო და ადმინისტრაციული ცენტრი. 4. ნავენახევის... 5. ძევრის მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი. 6. მღვიმე სოფელ... 7. მამა-შვილ... სახლ-მუზეუმი. 8. მამა შვილ... სახლ-მუზეუმი. 9. ღვანკითის ეკლესია. 10. ნავენახევის მღვიმეში არის 120... 11. ძველი დროის ქალაქი. 12. ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა...ქედი. 13. ალისუბნის... 14. სიქთარვის... 15. ქართველი მწერალი გრიგოლ... 16. თუზის წმინდა... 17. ნაგარევის... 18. რაფი... 19. გოგნის... 20. ცნობილი მომღერალი ქალები. 21. 22. გოგნელი პოეტი ქალი. 23. ბალნეოლოგიური კურორტი.

☞ 12

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:** 1. კურთხევა. 2. მსგეფსი. 3. აღდგომა. 4. მრევლი. 5. აიაზმა. 6. ანგელოზები. 7. ავტოკეფალია. 8. აღსარება. 9. კარიბჭე. 10. მადლი. 11. მარხვა. 12. მღვდელი. 13. ეკლესია. 14. ორთოდოქსი. 15. ამინ. 16. მოგვი. 17. ბიბლია. 18. კონდაკი.

# შენს საფლავზე მუდამ იბიბინებს მოგონებათა მწვანე ბალახი



დაიბადა უძველეს და ულამაზეს ქალაქ ჩხარში (ახლა უკვე სოფლის სტატუსის მქონე ადმინისტრაციულ ერთეულში) 1951 წლის 27 მაისს. ვარდობის თვეს, ბუნების გამოღვიძებას დაემთხვა მისი ამქვეყნად მოვლინება, გაიზარდა, დავაჟკაცდა და ცხოვრების დიდ შარაგზაზე გამოვიდა. სასკოლო განათლება აქვე მიიღო და შემდეგ დედაქალაქს მიაშურა, მაშინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იქვე დედაქალაქში დაიწყო საქმიანობა, აქვე გაიცნო მომავალი მეუღლე თამარ ღარიბაშვილი, სიყვარულით შექმნეს ქართული ოჯახი, შეეძინათ შვილები. გულმა მაინც მშობლიური რაიონისკენ გამოუწია. 1987 წელს 36 წლის ამირან ჩხიკვაძე თერჯოლის საგზაო სამმართველოს ჩაუდგა სათავეში. ენერგიულად შეუდგა მუშაობას და მალე, ერთ დროს რაიონული მასშტაბის საწარმო, რესპუბლიკური მნიშვნელობის ობიექტად აქცია. შემოიყვანა საჭირო ტექნიკა, რაც საგზაო სამმართველოს მასშტაბური სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობას იძლეოდა. რაიონული დაქვემდებარების საგზაო სამმართველო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბორანად“ ჩამოყალიბდა. ამ სტატუსით საწარმომ არაერთი მასშტაბური პროექტი განახორციელა რაიონშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ყოველივე ეს ამირან ჩხიკვაძის უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად მოხდა.

ბატონი ამირანი არა მარტო კარგი ხელმძღვანელი, კარგი თერჯოლელი, კარგი მეგობარი და კაცური კაცი იყო, რასაც მისი პიროვნული ხიბლი განაპირობებდა. კაცური კაცის სახელი თავისთავად არ მოდის ეს თიკუნი უნდა დაიმსახურო ჯერ სამეგობროში და მერე მთელ სოფელსა და რაიონში. ულმობელმა ვირუსმა გამოსტაცა იგი ოჯახს, საყვარელ საქმეს და კოლექტივს, სრულიად საქართველოს, რომლის სიყვარულსაც დაატარებდა დაბადებიდან გარდაცვალებამდე. დიახ, ის არა მარტო ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს მოუკვდა, არამედ ჩხარს, თერჯოლას და სრულიად საქართველოს, რადგან ასეთი ადამიანების დანაკარგი ქართული სახელმწიფოს დანაკარგია. 70 წელი შეუსრულდებოდა 27 მაისს. ვაი რომ ვერ იზეიმა ეს მრგვალი თარიღი ვერც მან და ვერც მისმა ახლობლებმა. დიდია ტკივილი მისი დანაკლისით გამოწვეული.

ჩვენო ამირან!

ზოგი ადრე, ზოგი გვიან ვემშვიდობებით ერთმანეთს ამ წუთისოფელში. ასეთი ყოფილა „ადამის ცოდვათა“ გამო კაცთა მოდგმისათვის „არსთა გამრიგეს“ მიერ გამოტანილი განაჩენი, ასეთია სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული კანონი, კაცურად ტკივილის ატანასა და გლოვას რომ გვასწავლის. ნუგეშად ის დაგვრჩენია, რომ შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია იმათ გულებში, ვინც შენ გიცნობდა, რომ შენს საფლავზე მუდამ „იბიბინებს მოგონებათა მწვანე ბალახი“.

**ოჯახი, კოლექტივი, სამეგობრო**

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექცია სამძიმარს უცხადებს სოფიკო და რამაზ კირკიტაძეებს ძმის და მაზლის

**ედიკა კირკიტაძის**

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზევინარ და ზურაბ დევიძეებს ძმის და ცოლისძმის

**ჟორა კლდიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექცია სამძიმარს უცხადებს ნონა და ზვიად ურიადმყოფელებს ძმის და მაზლის

**რევაზ ურიადმყოფელის**

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თეონა პეტრიაშვილს მამის

**კობა პეტრიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

სოფელ ქვედა სიმონეთში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობა, ბაგა-ბაღის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ბაგა-ბაღის თანამშრომელი

**მინელი აბულაძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

# ვიტალი სულამანიძე

ღირსეული მამულიშვილი, ღვაწლმოსილი პიროვნება, თავის საქმეზე და ხალხზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანი დააკლდა სოფელს. ვიტალი სულამანიძის დამოკიდებულებას მშობლიურ სოფელთან პატივისცემით იგონებენ თანასოფლელები. ახსოვთ და არაერთხელ გამოუხატავთ უდიდესი მადლიერება მის მიერ გაწეული ღვაწლისათვის, რაც სოფლის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობას მოახმარა.

ვიტალი სერგოს ძე სულამანიძე დაიბადა1938 წლის 10 სექტემბერს, თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთში. 1955 წელს დაამთავრა ზედა სიმონეთის საშუალო სკოლა. 1961 წელს დაამთავრა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი, ელექტრომანქანების სპეციალობით; 1968 წელს - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ „საქგიპროშახტში“, უმცროსი ინჟინრის თანამდებობაზე, საბაგირო გზების განყოფილებაში; 1962 წლიდან მუშაობდა გაერთიანება „სოფელექტროს“ საპროექტო ინსტიტუტის ელექტროგანყოფილების მშენებელი ინჟინრის თანამდებობაზე; 1964 წლიდან მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ „საქენერგოპროექტის“ ჰიდროტექნიკურ განყოფილებაში ინჟინრის თანამდებობაზე; 1965 წელს გადაყვანილ იქნა „საქენერგოს“ ჰიდროტექნიკურ სამსახურში უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე; 1969 წლიდან მუშაობდა „საქენერგოს“ სამშენებლო-სარემონტო სამმართველოში კახეთის რეგიონის სამუშაოთა მწარმოებლად; 1971 წელს დაინიშნა „საქმთავარენერგოს“ სამშენებლო-სარემონტო ტრესტის გურჯაანის სამმართველოს მთავარ ინჟინრად; 1976 წელს - „საქმთავარენერგოს“ სამშენებლო-სარემონტო ტრესტის სამგორის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე; 1971-1989 წლებში მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, „თბილსრესისა“ და „ელქსელების“ ობიექტებზე, აშენდა ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში (ვაშლიჯვარის, ვარკეთილის, ნავთლუღის ქ/ს-ის ტერიტორია), ხუთსართულიანი სახლები და საწარმოო ბაზები ქ. თელავში, ქ. გურჯაანში, ქ. წითელწყაროში, ქ. მარნეულსა და ქ. გარდაბანში; რკინაბეტონის ქარხანა სოფ. ვაზიანში; 1989 წლიდან ხელმძღვანელობდა „საქმთავარენერგოს“ მცირე ჰესების სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს; 1996 წლიდან მუშაობდა ამ სამმართველოს ბაზაზე ჩამოყალიბებული სს „ჰიდრორემმშენის“ დირექტორის თანამდებობაზე; 2003 წლიდან ხელმძღვანელობს „სამომავლო ენერგეტიკული განვითარების კოოპერაციას“; 2013-2014 წწ. იყო საპროექტო ორგანიზაცია შპს „საქენერგოპროექტის“ დირექტორი; 2003-2010 წწ. საქართველოს საელექტრო სისტემის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით მონაწილეობდა 35-220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობა—რეკონსტრუქციის სამუშაოებში; მონაწილეობდა „დედაენის“ ძეგლისა და გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძეგლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაში.

1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

2021 წლის 10 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდგომ გარდაიცვალა 82 წლის ასაკში. დაკრძალულია თბილისში. მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა...

**დავით კლდიაშვილის სახელობის ზედა სიმონეთის საჯარო სკოლის პედაგოგები**

# 11☞ თავმოსაწონი, მოსანახულებელი და საამოდ საამბობი...

**ანუ, მოკლედ იმაზე, თუ მუნიციპალიტეტის ცენტრსა და მის შემადგენლობაში არსებულ სოფლებს რა ნიშნული ახატიათ შუბლზე...**

**ქ. თერჯოლა**—„სატურიად“ მოიხსენიებდნენ ჩვენი ძველები.

ახსნა ადვილია—თურმე გაუვალ ტყეში, სადაც ახლა ჩვენი ქალაქია გაშენებული ტურები მრავლობდნენ!

დღეს თერჯოლა ერთი პატარა, მაგრამ ლამაზი ადმინისტრაციული ცენტრი გახლავთ თავის ინფრასტრუქტურით და ყველა იმ ნიშან-თვისებით, რომელიც აგრე რიგ შვენის და ესაჭიროება თანამედროვე ცივილიზებულ რეალობას.

სულ ბოლოხანს განსაკუთრებით იცვალა სახე მისმა ცენტრალურმა ნაწილმა, დავით კლდიაშვილის სახელობის მემორიალიდან (რომელიც ქალაქის სავიზიტო ბარათის ფუნქციასაც ასრულებს) ვიდრე თერჯოლის პირველ მაღლივ საცხოვრებელ კორპუსამდე, ადგილობრივებმა თერჯოლის „ცათამბჯენად“ რომ მონათლეს!

**ახლა კი ანბანის დაცვით**

**ალისუბანი**—ზედა და ქვედა ალისუბანი—მზით და სიკეთით სავსე. იუმორის მშობელ-დედობა მიეწერება მასვე. აქაურები „ჩიკვაიძის სკოლას“ ძახილის ნიშნის თანხლებით წარმოთქვამენ, არც გაემტყუნებათ.

**ახალთერჯოლა**—აქ მცხოვრებთ თავი ქუდში აქვთ. მათი სოფელი მუდამ „ახალი“ იქნება. ძველი სახელწოდება „წუხარელა“ ალბათ მწუხარე ცხოვრებიდან თუ წარმოდგება. ახლა რა მოსატანია და ახალთერჯოლელები ხანდახან პატარ-პატარ, სინამდვილესთან მოშორებულ „სამხედრო საიდუმლოებებითაც“ ირთობენ ხოლმე თავს...

**ბარდუბანი**—აშკარად უნებლიე შეცდომასთან გვაქვს საქმე. სინამდვილეში ეს სოფელი ვარდუბანია და არა ბარდ-უბანი! ნახეთ აქაურთა ლამაზი ყვავილებით მორთული ეზოები და დარწმუნდებით.

**გოგნი**—ყველაზე მაღალი „მოძმეთა“ შორის. მისი სახელი შვიდჯერ მეორდება ერთ-ერთ ქართულ ხალხურ სატრფიალო სიმღერაში. აქაურ მჭედელთა ნახელავს მთელ საიმერეთოსა და რაჭაში ჰქონდა სახელი გავარდნილი.

ცალკე თემაა „კარუგდებლის“ დიდი სამლოცველო, სადაც ყოველი წლის გიორგობის დღესასწაულზე ლამის სრულიად საქართველოს მომლოცველები იყრიან თავს...

**გოდოგანი**—გოდოგნელ-ნაგარეველებისაა „თამარის ხიდი“, „საკაჟიაც“ მათია. კაჟივით ჯანმრთელობაც, ბატონო!

**ეწერი**—ამ სახელით არის სახელდებული საქართველოში თერთმეტი სეხნიით ფუძეძლიერი სოფელი, სადაც გამრჯე, მშრომელი ადამიანები სახლობენ.



**თუზი**—კაკაბოური-ბიღა-ჯგილათ-ვარდიგორა-თავასის კავშირია ძმური.

**კვახჭირი**—ამ ორი სხვადასხვა „ზნის“ სიტყვის საუკუნო „თანაცხოვრება“ რამ განაპირობა, ამაზე მემატიანე დუმს. სურვილი კია, პირველი სიტყვა უმრავლოთ, ხოლო მეორისაგან ღმერთმა დაიფაროთ...

**ნახშირღელე**—ნახშირსა და მის ღელესთან დაკავშირებით სამეცნიერო წყაროები საიდუმლოს გვიმალავენ, მაგრამ ნავენახევის მღვიმემ, რომ ახალი სიცოცხლე დაიწყო—ყველას გვახარებს. იმის მოლოდინიც გვაქვს, რომ იქით, სიღრმეში შეიძლება კიდევ იყოს „რაღაცა“... მერე ვნახოთ „სათაფლია“ და „პრომეთე“ გვერდზე მიიწევენ თუ არა!

**რუფოთი**—რუფოთელებს უყვართ წატრაბახება, რომ დიდ ბელადს ტელეფის ბატკანს უგზავნიდნენ ხოლმე.

**საზანო**—მთელს დუნიაზეა ცნობილი საზანოს ბაზარი—უზარმაზარი—ნამდვილად ასეა, ბაზარი არ არის!

**ქვედა და ზედა სიმონეთი**—ორი ტყუპის ცალი, აქურები სამართლიანად ამაყობენ დავით, სერგო, გურამ, გენო, რეზო კლდიაშვილების დინასტიით... რა თქმა უნდა, ბალნეოლოგიური კურორტითაც იწონებენ თავს, მათ და არა მარტო მათ დიდი ხანია დაავიწყდათ სახსრების ტკივილი, რადიკულიტი, წელკავი და ა.შ.

**სიქთარვა**—ეს ლამაზი სოფელი ოდითგან იწონებდა თავს წყლის წიქვილებით;

აქაურებს საუბნო საავადმყოფოც ჰქონდათ საკუთარი, მაგრამ გააუქმეს. ჩვენი ჯანმრთელობის პატრონს რაში გვჭირდება თუ არა, კიო!

**ღვანკითი**—ესახელებათ ცნობილი დედაღვთისის სამლოცველო. ბაგრატიონთა სამოსახლოც, მომღერალი კუბლაშვილების მთელი დინასტია, რა თქმა უნდა.

**ჩხარი**—„ოქონას“ მთას შეფენილი რომანტიკული და ეგზოტიკური ძველი დასახლება. ისტორიული დიდი აბრეშუმის საქარავნო გზის ერთი მნიშვნელოვანი განშტოების ქვაკუთხედი, განთქმული ხელოსნობითა და ვაჭრობით. რაიონის ყოფილი ადმინისტრაციული ცენტრი.

ჩხარი სულ სხვაა!

**ძევრი:** სოფელი ცნობილი ლეგენდებითა და ბუნებრივი ძეგლებით. აქაურებს დღესაც არ ასვენებთ იმაზე ფიქრი, რომ ტარიელის ადგილ-სამყოფელი სწორედ ძევრის გამოქვაბულია, რომ დიდი შოთა რუსთაველი ძევრელი იყო. აბა, „შოთაობას“ ისე, ჰარიჰარალოზე ხომ არ ზეიმობდნენ რაიკომობის დროს?!

ახლა ძევრის ძევრულჰესი?!

ძევრელებს წლების განმავლობაში ისიც უღრღნიდათ გულს, რომ ელექტროსადგური, რომელიც მათ წყალზე „იდგა“ და ახლაც დგას, სხვა ქალაქის სახელი ჰქონდა მინიჭებული.

ასეთია ჩვენი საიმერეთოს გულის თითო-ოროლა მახასიათებელი ანუ, როგორც თავიდანვე ვთქვით „შუბლზე მიკერებული“ ნიშნული.

მკითხველმა იქნებ იკითხოს—რატომ, „საიმერეთოს გული“?

**გპასუხობთ: იმერეთში თერჯოლის მუნიციპალიტეტი ერთადერთია, რომელსაც ყოველი მხრიდან მხოლოდ იმერული მუნიციპალიტეტები ესაზღვრებიან!**





**მოამზადა ნუგზარ გამყრელიძემ**


**შპს „თერჯოლა“**

გამომცემელი
**ვალერიან გოგიაშვილი**
**599 92 49 75**

მთავარი რედაქტორი
**დავით კლდიაშვილი**
**599 91 24 14**

**სარედაქციო კოლეგია**

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

**მისამართი:**
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872